დანართი №5

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის_ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

ქეთევან რეხვიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ნინო ბურჯალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ფიქრია მუსერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
მარინე მორჩილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ციცინო გობაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	237101943

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ოზურგეთი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ოზურგეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა N8
საფოსტო ინდექსი	3500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლის ვებ გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Ozurgeti4@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577618000

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 12 თებერვლის ბრძანება MES 7 26 0000151656- (ცვლილება 2026 წლის 26 თებერვლის MES 7 26 0000151656)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 18-19 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ოზურგეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა N8 ერთი შენობა
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ოზურგეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა N8 ერთი შენობა
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ოზურგეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა N8 ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის ბრძანება MES 7 26 0000151656- (ცვლილება 2026 წლის 26 თებერვლის MES 7 26 0000151656) ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლაში მის. ქალაქი ოზურგეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა N8 ა.წ . 18 და 19 მარტს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები იმყოფებოდნენ ადგილზე, ხოლო საგნობრივმა ექსპერტებმა ვიზიტი განახორციელეს თანამედროვე კომუნიკაციის Teams-ის პლატფორმის საშუალებით. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა

დაწესებულების მხრიდან: ნაწილი დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა ადგილზე მატერიალური სახით, ნაწილი კი ელექტრონული სახით. ვიზიტისას შეფასდა ოთხივე სტანდარტი, მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის. ექსპერტები ვიზიტისას გაესაუბრნენ ადმინისტრაციის და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებს, ასევე ინტერვიურება ჩატარდა სპეციალურ მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან. ექსპერტმა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალური რესურსი და სკოლის ინფრასტრუქტურა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების გამორჩეული პრაქტიკა.ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები - რესურსოთახის მოწყობა, პედაგოგთა მასობრივი გადამზადება, არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, ასევე კონკრეტულ მოსწავლეზე მორგებული მხარდაჭერა (ბრაილის შრიფტის სწავლება და შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფა) - წარმოადგენს სისტემურ, მიზანმიმართულ და შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სკოლა არა მხოლოდ უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეების ფორმალურ ჩართულობას, არამედ ქმნის მათთვის რეალურად ადაპტირებულ გარემოს და ავითარებს პერსონალის კომპეტენციებს. უსინათლო მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერა კი მიუთითებს ინდივიდუალურ მიდგომაზე და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის კულტურაზე.
- სკოლაში განვითარებულია არაფორმალური განათლება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და თვითრეალიზაციას; მათი უკუკავშირი ადასტურებს, რომ თავს გრძნობენ დაფასებულ და მხარდამჭერ გარემოში. სკოლას ჰყავს ძლიერი თვითმმართველობა, რომელიც საქმიანობას ახორციელებს წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით და

თავად მოსწავლეების ინიციატივით გეგმავს და მართავს პროექტებს (მაგ.: „Beast Games“, ტალანტების შოუ, გამოსაშვები ღონისძიება), რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსებითა და ვადებით. პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო პროექტებში, რაც ამაღლებს სწავლების ხარისხს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1000 (ორ ცვლაში 830+170)	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	*რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(01/05/2026-01/09/2026) უზრუნველყოს ექიმის კვალიფიკაციის კანონმდებლობით დადგენილ მოოთხოვნებთან, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური	*რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, კერძოდ, 15/01/2026-01/09/2026 პერიოდში, უზრუნველყოს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; ხოლო უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის მოპოვება 01/05/2026-01/04/2027 პერიოდში.*
ინდიკატორი N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	*რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(01/05/2026-01/09/2026) უზრუნველყოს ექიმის კვალიფიკაციის კანონმდებლობით დადგენილ მოოთხოვნებთან, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.*
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	*რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, კერძოდ, 01/05/2026-01/05/2027 პერიოდში, უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	*ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ დირექტორის 2023 წლის 16 ნოემბრის N02-171 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მერვე თავის მე-16 მუხლი და მე-10 თავის 1-ლი მუხლის „ვ“ პუნქტი თანხვედრაში მოიყვანოს ერთმანეთთან სკოლაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპების მკაფიო ვადები. დახვეწოს SWOT ანალიზი, სადაც მკაფიოდ გაიმიჯნება შიდა და გარე ფაქტორები, ხოლო შესაძლებლობები და საფრთხეები ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტულად, მოსალოდნელი შედეგებისა და ზემოქმედების მითითებით.*
ინდიკატორი N1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	*ექსპერტთა რჩევაა, მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაზუსტდეს მონიტორინგისა და ანგარიშგების პერიოდულობა და უზრუნველყოფილ იქნას მე-12 თავის მე-2 და მე-5 თავის მე-4 მუხლების ერთმანეთთან თანხვედრაში მოყვანა.*
ინდიკატორი N1.2.2.4.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის	*ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ გადახედოს მოქმედ სტრატეგიულ გეგმას და უზრუნველყოს მისი განახლება მონიტორინგის ჯგუფის დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, მიმდინარე ორგანიზაციული ცვლილებების გათვალისწინებით.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*

ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას	*ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ დროულად უზრუნველყოს საშტატო ერთეულით განსაზღვრულ ყველა პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის შერჩევა, რაც ხელს შეუწყობს მართვის პროცესების კოორდინაციის გაუმჯობესებას და ფუნქციათა უფრო ეფექტიან და ოპტიმალურ გადანაწილებას.*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.*
ინდიკატორი N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების აღმწერი დოკუმენტის შემუშავება.*
ინდიკატორი N3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	*ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ უზრუნველყოს საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვისა და მართვის პროცესის დიჯიტალიზაცია, კერძოდ, შეიმუშაოს და დანერგოს ციფრული კატალოგი, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს წიგნადი ფონდის მოძიებას, აღრიცხვასა და კონტროლს.*

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	*ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ დროულად განახორციელოს შიდა ნორმატიული აქტის - „მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესის“ შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 თებერვლის №17/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ცვლილებებთან.*
ინდიკატორი N4.2.3.2.	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს	*ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ უზრუნველყოს უსინათლო მოსწავლისთვის თანამედროვე დამხმარე ტექნოლოგიების -ბრაილის ეკრანის (Braille display) და ბრაილის ჩამწერის (Braille note taker)- გამოყენების სწავლება და პრაქტიკაში ინტეგრირება. აღნიშნული მოწყობილობები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლის ციფრული უნარების განვითარებას, ინფორმაციის დამოუკიდებლად მიღებასა და დამუშავებას, ასევე გაზრდის მის ჩართულობას სასწავლო პროცესში.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** კათედრამ როგორც დაწყებით და საბაზო, ასევე საშუალო საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავებისას უკვე არსებული კურიკულუმების განხორციელების ანალიზის საფუძველზე განავითაროს და დაამატოს მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებზე დაფუძნებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები. **ტექნოლოგიები:** სასურველია მოხდეს მიმართულებების და ცნებების ერთმანეთისაგან გამიჯნვა, კურიკულუმის ჩარჩო იწყებოდეს საგნის მიმართულებით, შემდეგ ცნება/ქვეცნება, რასაც უნდა მოსდევდეს საკითხები. ასევე, რადგან ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სტანდარტის მიერ შემოთავაზებული ყველა მიმართულება მუშავდება ყველა შესაბამის კლასში, მოხდეს კურიკულუმებშიც მათი ჩამატება.

ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი. საგნობრივ კურიკულუმებს მიეცეს სტრუქტურიზებული სახე, რომელშიც გარკვევით იქნება ასახული ცალკეული საკითხების მიმართებით რომელი სამიზნე ცნებებია განსაზღვრული მიზნად, რომელ რესურსებსა და კონტექსტ მაგალითს ეფუძნება საკითხის შესწავლა და რა შემოქმედებით დავალებაზე უნდა იმუშაონ მოსწავლეებმა საბაზო, საშუალო საფეხურზე. მე-9 კლასის ისტორიის კურიკულუმის თემაში „საქართველო და თანამედროვე მსოფლიო“ აისახოს ყველა ის საკითხი, რომელთა შესწავლაც ხორციელდება მოცემული სავალდებულო თემის ფარგლებში. საბაზო საფეხურის გეოგრაფიის კურიკულუმებში აისახოს ყველა საკითხი, რომელთა შესწავლაც ხორციელდება თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში. სამოქალაქო განათლების პროექტული სწავლების კურიკულუმში აისახოს მეორე სემესტრში განსახორციელებელი პროექტები. **მათემატიკა:** სასურველია მათემატიკის შემოქმედებითი დავალების ბარათებსა და მატრიცებში ძველი სამიზნე ცნებები დაკორქტირდეს ახალი სამიზნე ცნებებით.
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური სასურველია კურიკულუმებში ყველა შესასწავლ საკითხთან მიმართებით შერჩეული და მითითებული იყოს დამატებითი რესურსები. **სახელმწიფო ენა**: სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმებში შეიტანონ თავიანთი შექმნილი რესურსები, რომლებიც აქვთ და ისედაც იყენებენ.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** 1. დაწყებითი საფეხური, მე და საზოგადოება. მე და საზოგადოებაში მატრიცაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები გაიწეროს შეფასების რუბრიკების სახით. 2. დაწყებით (ჩვენი საქართველო, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან) საბაზო და საშუალო საფეხურზე, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ საგნებში, თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში, შესასწავლ საკითხებთან მიმართებით შემუშავდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, საგნობრივ სტანდარტში

		მოცემული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორების მიხედვით. ინდიკატორების შეფასების კრიტერიუმად გარდაქმნისთვის საჭიროა: მათი დაკონკრეტება საკითხებთან მიმართებით; თითოეული მათგანისთვის გარკვეული ქულობრივი წონის მინიჭება; შეფასების რუბრიკა უნდა მოიცავდეს ყველა სამიზნე ცნებას, ან ფოკუსირდეს მხოლოდ რამდენიმე მათგანზე. 3. დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ საგნებში კურიკულუმში ასახული ყველა შემოქმედებითი ტიპის დავალებისთვის შემუშავდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში საგნობრივი სამიზნე ცნებების შინაარსი უნდა იყოს მორგებული კონკრეტული დავალების საკითხს და შინაარსს. 4. ყველა შემაჯამებელი დავალებებისთვის შემუშავდეს შეფასების რუბრიკები, რომელშიც აისახება თემა, საკითხი, დავალების პირობა, საგნობრივი სტანდარტებით თემის ფარგლებში განსაზღვრული მოსწავლის მიღწევების ინდიკატორებთან ქულობრივი შესაბამისობა. 5. მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების უზრუნველსაყოფად შემაჯამებელი სამუშაოსთვის შერჩეული იყოს მრავალფეროვანი დავალებები, მათ შორის შემოქმედებითი ტიპის, მაგ. ესე, სტატია და სხვა.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	**საზოგადოებრივი მეცნიერებები**: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შერჩეული შემაჯამებელი დავალებები მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის ანალიტიკური აზროვნების განვითარებაზე.
ინდიკატორი N 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	ექსპერტთა რჩევაა, ვერიფიკაციის დაგეგმვა დაეფუძნოს ერთიან და ინტეგრირებულ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც ერთი საგნისა და ერთი კლასის ჭრილში ერთობლივად განხორციელდება შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებებისა და პროცესის ვერიფიკაცია. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების ყველა კომპონენტის თანმიმდევრულ და ურთიერთკავშირში გაანალიზებას, ზრდის შედეგების სანდოობას და ქმნის უფრო სრულყოფილ საფუძველს შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი N 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	**საზოგადებრივი მეცნიერებები**: სასურველია კურიკულუმებში ყველა შესასწავლ საკითხთან მიმართებით შერჩეული და მითითებული იყოს დამატებითი ციფრული და მატერიალური რესურსები.
ინდიკატორი N 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	**სახელმწიფო ენა:** სასურველია კურიკულუმებში მასწავლებლებმა შეიტანონ თავიანთი შექმნილი რესურსებიც. **სპორტი**: სასურველია განხორციელდეს სპორტული დარბაზისა და გარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ 2026 წლის 16 აპრილის MES 2 26 0000442667 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოყოფილ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15^2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა „მეტწილი შესაბამისობით“ შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:
ინდიკატორი N3.1.2.4.- ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ინდიკატორი N3.4.1.1. დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა.
ინდიკატორი N3.4.1.2.- ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
ინდიკატორი N3.5.1.4.- შენობა არ არის სრულად ადაპტირებული.

ასევე წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები, რომელიც გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე და ექსპერტთა შეფასება „სრული შესაბამისობით“ შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:

ინდიკატორი N3.3.1.2.- დაწესებულებას არ აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის მისიაში მკაფიოდ იკვეთება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ერთიანობა, ასევე ხაზგასმულია უსაფრთხო და დემოკრატიული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რაც ემსახურება ჰარმონიული და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას. სკოლის ხედვაში წარმოდგენილია 2030 წლისთვის ისეთი მოქალაქის მოდელი, რომელიც გამოირჩევა პატრიოტიზმით, დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებით, კრიტიკული აზროვნების უნარითა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზადყოფნით, რაც სრულად ეხმიანება ეროვნული მიზნების არსს. ამასთან, მისია და ხედვა მოიცავს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ცხოვრებისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას, რაც ხელს უწყობს წიგნიერების, ანალიტიკური აზროვნებისა და უწყვეტი თვითგანვითარების ფორმირებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიისა და ხედვის ანალიზი აჩვენებს, რომ დაწესებულება მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისიაში ხაზგასმულია უსაფრთხო და დემოკრატიული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რაც ქმნის საფუძველს თითოეული მოსწავლის ფიზიკური და ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის. ამავე დროს, აქცენტი კეთდება შემოქმედებით, განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოზე, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალური პოტენციალის გამოვლენასა და პიროვნულ ზრდას. ხედვაც ამ მიმართულებას ამყარებს, რადგან ის მიზნად ისახავს ისეთი მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელიც არის დამოუკიდებელი, კრიტიკულად მოაზროვნე და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული. აღნიშნული მახასიათებლები მიუთითებს, რომ სკოლა საკუთარ ფუნქციას აღიქვამს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის ინსტიტუტად,

არამედ სოციალურ და კულტურულ სივრცედ, სადაც ფორმირდება ღირებულებები, დამოკიდებულებები და სოციალური უნარები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 16 ნოემბრის ბრძანება N 02-171 დამტკიცდა სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 თავი არეგულირებს სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებს, ჯგუფის შემადგენლობაში შედის სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმოამდგენელი-მოსწავლე, მშობელი, პედაგოგი. დოკუმენტის მე-9 თავი განსაზღვრავს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაწესებულებას პროცესი განხორციელებული აქვს მეთოდოლოგიის შესაბამისად. კერძოდ, „სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 28 ივნისის N1/კ-10 ბრძანებით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი დაიწყო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებით. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები, რომლებიც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს ინტერვიუები სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებთან, მათ შორის მშობლებთან, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი პროცესში. მათი განმარტებით, სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპამდე სკოლამ უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ჩატარება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც მოსწავლეები, ასევე მშობლები; გაიმართა სამუშაო შეხვედრები. მიღებული შედეგების ანალიზისა და სასკოლო საზოგადოებასთან კონსულტაციების საფუძველზე ჩამოყალიბდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფის 2023 წლის 20 ნოემბრის ოქმით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 16 ნოემბრის N02-171 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მე-6 თავი აღწერს გაზიარების მექანიზმებს. სკოლა ამისათვის იყენებს: სკოლის ვებგვერდს, ელექტრონული ფოსტას, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალური მედიას, პირისპირ შეხვედრებს. დაწესებულებამ წარმოადგინა სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ასევე მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოება გაეცნო სკოლის სტრატეგიულ გეგმას, სასკოლო სასწავლო გეგმას და კურიკულუმს. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს ექსპერტებთან ინტერვიუში, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სტრატეგიული და სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, შესაბამისად რეგულარულად ხდება შეხვედრებზე აღნიშნული სკოლის მისიის, ხედვის და

ღირებულებების გაჟღერება. ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული დოკუმენტები არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ განაცხადს, არამედ აისახება სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობა უზრუნველყოფილია მათი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით გავრცელების გზით, რაც მოიცავს როგორც ფიზიკურ სივრცეში განთავსებულ საინფორმაციო მასალებს, ასევე ელექტრონულ რესურსებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებები და ადგილზე დაკვირვება ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისა და დაინტერესებული პირებისთვის. დოკუმენტი ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში, ასევე სკოლის შენობაში სამივე სართულზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სახელწოდება განსაზღვრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის #448 ბრძანების შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ვებგვერდი;
- სოციალური ქსელი;
- ინტერვიები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 16 ნოემბრის N02-171 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების სისტემურ გათვალისწინებას. აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება მონაწილეობითი მართვის პრინციპებს და ითვალისწინებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის-მოსწავლეების, მშობლების, პედაგოგებისა და ადმინისტრაციის-აქტიურ ჩართულობას დაგეგმვის პროცესში. მტკიცებულებები მიუთითებს, რომ სკოლა იყენებს მონაცემებზე დაფუძნებულ მიდგომებს, მათ შორის გამოკითხვებს, კონსულტაციებსა და სამუშაო შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს პრიორიტეტების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოადგინა 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 16 ნოემბრის N02-171 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მე-

10 თავის 1-ლი მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტების თანახმად სკოლის სტრატეგიული გეგმა თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან, რის შემდეგაც მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ. ამავე დოკუმენტის მერვე თავის მე-16 მუხლში აღნიშნულია, რომ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. შესაბამისად, მეთოდოლოგიური დოკუმენტის ეს ორი მონაკვეთი თანხვედრაშია მოსაყვანი. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას გამოთხოვილ იქნა დამტკიცების მტკიცებულებები. დაწესებულებამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 26 ნოემბრის N11 ოქმი, რომლითაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს მიერ სტრატეგიული გეგმის შეთანხმების პროცესი. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის MES 4 25 0001844500 ბრძანებით. სტრატეგიული განვითარების გეგმის შეთანხმებასა და დამტკიცებას შორის დროის მნიშვნელოვანი აცდენის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ გააუმჯობესოს დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები. კერძოდ, საჭიროა მკაფიო ვადების განსაზღვრა თითოეული ეტაპისთვის. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტი. სტრატეგიული გეგმა მოიცავს SWOT ანალიზს, რომელშიც ძლიერ მხარედ გასაზღვრულია თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვა სკოლებთან ახალი სასწავლო წლის დაწყების აღნიშვნა, შესაძლებლობებში -ქალაქის მერია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაციები არის განსაზღვრული. საფრთხეებში კი-ქალაქში გახსნილი სასულიერო სკოლები, სკოლების ავტორიზაცია, ქუჩა, სადაც გამოდის სკოლის მთავარი შემოსასვლელი.

SWOT ანალიზის ეფექტიანობის გასაზრდელად მიზანშეწონილია, რომ თითოეული კომპონენტი (ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები) ჩამოყალიბდეს კონკრეტულად, პირველ რიგში, საჭიროა მკაფიო გამიჯვნა შიდა და გარე ფაქტორებს შორის: ძლიერი და სუსტი მხარეები უნდა ასახავდეს სკოლის შიდა მდგომარეობას (რესურსები, პროცესები, კადრები), ხოლო შესაძლებლობები და საფრთხეები უნდა აღწერდეს გარე გარემოს ფაქტორებს (პოლიტიკა, პარტნიორები, სოციალური გარემო). შესაძლებლობები უნდა ასახავდეს რეალურ შანსებს, რომლებიც ამ რესურსების გამოყენებით იქმნება. მაგალითად, პარტნიორი ორგანიზაციების დასახელების ნაცვლად უნდა გამოიკვეთოს, თუ რა ტიპის სარგებლის მიღებაა შესაძლებელი მათთან თანამშრომლობით. საფრთხეების ნაწილში მიზანშეწონილია რისკების ფორმულირება კონკრეტული შედეგის ან ზემოქმედების მითითებით, რაც გაამარტივებს პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას. სტრატეგიული გეგმა შედგება 7 სტრატეგიული მიზნისგან, რომელიც თავის მხრივ ჩაშლილია ამოცანებად. სტრატეგიული მიზნები თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ დირექტორის 2023 წლის 16 ნოემბრის N02-171 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მერვე თავის მე-16 მუხლი და მე-10 თავის 1-ლი მუხლის „ვ“ პუნქტი თანხვედრაში მოიყვანოს ერთმანეთთან სკოლაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპების მკაფიო ვადები. დახვეწოს SWOT ანალიზი, სადაც მკაფიოდ გაიმიჯნება შიდა და გარე ფაქტორები, ხოლო შესაძლებლობები და საფრთხეები ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტულად, მოსალოდნელი შედეგებისა და ზემოქმედების მითითებით.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოადგინა გასული წლების სამოქმედო გეგმა, ხოლო ვიზიტის ფარგლებში ასევე წარმოდგენილი იყო 2025–2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. დაწესებულება სამოქმედო გეგმას ადგენს აკადემიური წლის შესაბამისად. მიმდინარე სასწავლო წლის დოკუმენტში დაგეგმილი აქტივობები მიმართულია შვიდივე სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე კონკრეტული ამოცანების შესრულებისკენ და უზრუნველყოფს მათი პრაქტიკული განხორციელების მხარდაჭერას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლს 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სკოლის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისი აქტივობები, რომლებიც მიმართულია დაგეგმილი შედეგების მიღწევისკენ. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რაც იძლევა პროცესებისა და შედეგების ობიექტური შეფასების შესაძლებლობას. გეგმაში ასევე მითითებულია რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები, რომელთა უზრუნველყოფა შესაძლებელია სკოლის არსებული შესაძლებლობების ფარგლებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 26 ნოემბრის N11 ოქმი;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ვებგვერდი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 16 ნოემბრის N02-171 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მე-12 თავი არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება ივნისში ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომლის შედეგებიც წარედგინება სკოლის დირექტორს. ნარატიული ფორმით მომზადებული ანგარიში ასევე ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე. მე-12 თავის მე-2 მუხლის თანახმად, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულებისას. ამავდროულად, დოკუმენტის მე-5 თავის მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში მზადდება 3–4 წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, აღნიშნული დებულებები ერთმანეთთან სრულ თანხვედრაში არ არის და საჭიროებს დაზუსტებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაზუსტდეს მონიტორინგისა და ანგარიშგების პერიოდულობა და უზრუნველყოფილ იქნას მე-12 თავის მე-2 და მე-5 თავის მე-4 მუხლების ერთმანეთთან თანხვედრაში მოყვანა.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა, მეთოდოლოგიის შესაბამისად, ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. პროცესი მოიცავს შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ჩართულობას, შედეგების ანალიზს და ანგარიშგებას, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების შესრულების კონტროლს. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, რაც ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები. 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიში სკოლას გამოქვეყნებული აქვს სკოლის ვებგვერდზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 16 ნოემბრის N02-171 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მე-13 თავის მე-5 მუხლის თანახმად, ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულება ანგარიშების გამოქვეყნებას უზრუნველყოფს სკოლის ვებგვერდზე. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმის ანგარიში. სასურველია სკოლამ აღნიშნული ანგარიშების გამოქვეყნება უზრუნველყოს ანგარიშებისთვის გამოყოფილ სპეციალურ ველში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა იყენებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს შემდგომი განვითარების დაგეგმვისთვის. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაცია იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს მიღწეული პროგრესი, გამოვლინდეს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები და განისაზღვროს შესაბამისი პრიორიტეტები. აღნიშნული დასტურდება სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 16 ნოემბრის N02-171 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მე-12 თავის მე-3 და მე-4 მუხლებით. სკოლამ ვიზიტისას ექსპერტებს წარუდგინა სტრატეგიული გეგმის 2023-2026 წლის ანგარიში, ასევე 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს შესაბამის ანალიზსა და რეკომენდაციებს. მიზანშეწონილია, სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილ რეკომენდაციებზე დაყრდნობით სტრატეგიული გეგმის განახლება/კორექტირება, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შეიცვალა დაწესებულების ხელმძღვანელობა, ხოლო მოქმედი სტრატეგიული დოკუმენტი შემუშავებულია წინარე პერიოდში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

<u>ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ გადახედოს მოქმედ სტრატეგიულ გეგმას და უზრუნველყოს მისი განახლება წარმოდგენილი დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, მიმდინარე ორგანიზაციული ცვლილებების გათვალისწინებით.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შუალედური ანგარიში;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 31 ივლისის N 02-98 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს როგორც საშტატო, ისე არასაშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული პოზიციის პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნას. ამასთანავე, დოკუმენტი მოიცავს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციურ აღწერას, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციული პროცესების სისტემურ დაგეგმვასა და კოორდინაციას. დამატებით, სკოლამ წარმოადგინა ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზეც და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. სტრუქტურაში ნათლად იკვეთება დაქვემდებარების იერარქიული სისტემა, რომელიც თანხვედრაშია სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და ცალკეულ პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო და თანმიმდევრული განაწილება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. კომპეტენციების გამიჯვნა უზრუნველყოფს მართვის პროცესების გამჭვირვალობას, ამცირებს ფუნქციათა დუბლირებას და ხელს

უწყობს გადაწყვეტილებების დროულ და მიზნობრივ მიღებას. შედეგად, თითოეული თანამშრომელი მკაფიოდ აცნობიერებს საკუთარ როლს და პასუხისმგებლობას, რაც ზრდის სამუშაო პროცესების ორგანიზებულობასა და ხარისხს. ასევე, სტრუქტურულ ერთეულებს შორის ეფექტიანი კოორდინაცია ქმნის ერთიან მმართველობით სივრცეს, სადაც საგანმანათლებლო პროცესები მიმდინარეობს შეთანხმებულად და სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში. აღნიშნული დასტურდება სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 31 ივლისის N 02-98 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით. ექსპერტთა ვიზიტისას სკოლას არ ჰყავდა დირექტორის მოადგილე. როგორც დირექტორმა აღნიშნა გასაუბრებისას, აღნიშნული პოზიცია ერთ წელზე მეტია ვაკანტურია და მისი ფუნქციები გადანაწილებულია დირექტორსა და კათედრის თავმჯდომარეებზე. დირექტორის შეფასებით, მიუხედავად ამისა, სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს. თუმცა, სკოლის მასშტაბის გათვალისწინებით (900-ზე მეტი მოსწავლე), ექსპერტთა შეფასებით, მნიშვნელოვანია აღნიშნულ პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დროული შერჩევა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ დროულად უზრუნველყოს საშტატო ერთეულით განსაზღვრულ ყველა პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის შერჩევა, რაც ხელს შეუწყობს მართვის პროცესების კოორდინაციის გაუმჯობესებას და ფუნქციათა უფრო ეფექტიან და ოპტიმალურ გადანაწილებას.
დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრუქტურა;
- სკოლის საშტატო ნუსხა;
- სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 აგვისტოს №02-119 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის მართვის პროცედურებსა და ძირითად მიმართულებებს. დოკუმენტში ასახულია ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია და მიზნები,

თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მექანიზმები, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის გზები, ასევე პერსონალის წახალისების პოლიტიკა, მათ შორის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები. ამასთან, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2019 წლის 31 აგვისტოს №3 ოქმით. შინაგანაწესი არეგულირებს შრომითი ურთიერთობების მნიშვნელოვან ასპექტებს, მათ შორის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, თანამშრომლებს შორის კომუნიკაციის წესებს, დასაქმების შეწყვეტის პროცედურებს და სხვა ორგანიზაციულ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ შინაგანაწესი შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 აგვისტოს N 02 – 113 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენება მართვის პროცესში და მოიცავს როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს. სკოლის დირექტორმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ იგი რეგულარულად აფასებს სკოლაში არსებულ ვითარებას, აფასებს პერსონალის მუშაობის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით ახდენს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე სკოლას აქვს შემცვლელი მასწავლებლის ყოლის პრაქტიკა. რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას რომელიმე თანამშრომლის ბიულეტენის ან შვებულების პერიოდში. დაწესებულების ხელმძღვანელობა აანალიზებს არსებულ სიტუაციას და ატარებს საჭიროებისამებრ როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 აგვისტოს N 02 – 113 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-10-მე-14 მუხლები არეგულირებს კადრების მოზიდვასთან დაკავშირებულ საკითხს, მათ შორის: კონკურსის გამოცხადებას, კომისიის შექმნას, კონკურსის ეტაპებსა და სხვა. მე-13 მუხლის თანახმად, კომისიის წევრად განისაზღვრება დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. შესაბამისად თანხვედრაშია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებასთან, ცვლილება №61/ნ 23.05.2022წ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის დირექტორის 2024 წლის 06/08 N 02 – 114 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თითოეული პოზიციისთვის მოთხოვნილი განათლება, უნარები და სამუშაო გამოცდილება. დოკუმენტი თანხვედრაშია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებასთან, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან, რომელიც განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სკოლის ექიმისთვის. ექსპერტებმა ვიზიტისას შეისწავლეს დასაქმებულთა პირადი საქმეები. თითოეულ პოზიციაზე დასაქმებული პირის პირადი საქმე თანხვედრაშია კონკრეტული პოზციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ექიმის პირადი საქმის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ექიმის კვალიფიკაცია თანხვედრაში არ მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან. კერძოდ, სკოლის ექიმს არ ჰქონდა მოქმედი სახელმწიფო სერტიფიკატი პედიატრიის, საოჯახო მედიცინის ან ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრიის მიმართულებით. სკოლის ექიმის პირად საქმეში არსებული სახელმწიფოს მიერ გაცემული სერტიფიკატის თანახმად, რომლის მოქმედების ვადაც იყოს 2006 წლის 25 მაისამდე, პირს უდასტურდებოდა ნებადართული სპეციალობა კარდიოლოგიის მიმართულებით. **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, რადგან ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას.**

დაწესებულებამ 2026 წლის 16 აპრილის MES 2 26 0000442667 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 01/05/2026 -01/09/2026 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში შესაძლებელია

დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე **აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(01/05/2026 -01/09/2026) უზრუნველყოს ექიმის კვალიფიკაციის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. გადაწყვეტილებების მიღება სკოლაში ხდება გუნდთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში იქმნება კომისია სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ვიზიტის დროსაც, დადასტურდა, რომ მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით ფუნქციონირებს დაწესებულება. ასევე შექმნილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, დაწესებულება ახდენს მოვალეობების დელეგირებას და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ინტერვიურებისას დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში დანერგილია თანამშრომლობითი გარემო და ყველა პირი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებეულებების დოკუმენტითაც გაცხადებულია, რომ სკოლის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება გუნდურობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის შინაგანაწესის მე-19, მე-20 მუხლები ეხება დასაქმებულის წახალისების ფორმებს, სკოლა სხვადასხვა ფორმას იყენებს თანამშრომელთა წახალისების მიზნით. გარდა ამისა, სკოლა რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლის თანამშრომლეთა მიღწევების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. რასაც ერთგვარად წახალისების ეფექტი აქვს. პედაგოგთა საქმიანობა ითვალისწინებს კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას. საუკეთესო პრაქტიკის შემთხვევები კი ვრცელდება სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. მასწავლებელთა აღიარების საუკეთესო მაგალითია პროექტი ,,ბრავო მაესტრო“, რომელიც მიზნად ისახავს მასწავლებლის ღვაწლის აღიარებასა და მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას. აღნიშნული დასტურდება პედაგოგებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პირადი საქმეები;
- პროექტის ,,ბრავო მაესტრო“ განხორციელების დამადასტურებელი მასალები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 აგვისტოს N 02 – 113 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის მე-20 მუხლის თანახმად, სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის სისტემური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული ზრდის დაგეგმვასა და მხარდაჭერას. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა იყენებს მრავალფეროვან მიდგომებს - როგორც შიდა სასკოლო რესურსებს, ისე გარე სერვისებსა და პროგრამებს. განვითარების ღონისძიებები აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და შესაბამის ბიუჯეტში, რაც უზრუნველყოფს პროცესის დაგეგმილობასა და მდგრადობას. სკოლის პროფესიული განვითარების ხედვა ეფუძნება უწყვეტი განვითარების პრინციპს, რომლის მიხედვითაც პროფესიული ზრდა განიხილება როგორც მუდმივი პროცესი და არა ერთჯერადი მიზანი. შესაბამისად, აქცენტი კეთდება სწავლის, მხარდაჭერისა და

რეფლექსიის ხელშეწყობაზე, ვიდრე მხოლოდ ფორმალურ შეფასებაზე. შეფასებისა და უკუკავშირის სისტემა ხორციელდება კონსტრუქციული მიდგომით და ეფუძნება კოლეგიალურ მხარდაჭერას, გუნდურ მუშაობას. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს ინტერვიუებში საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება სკოლის ჩვეული პრაქტიკაა, რომლის დროსაც კოლეგების მხრიდან ხდება კონსტრუქციული უკუკავშირი. ამასთან პედაგოგები მუდმივად ახორციელებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას და სურვილისამებრ ესწრებიან მათთვის სასურველ ტრენინგებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 აგვისტოს N 02 – 113 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით, რაც აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. ექსპერტებმა შეისწავლეს სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის 2025-2026 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც მეექვსე სტრატეგიული მიზნის - მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება- ფარგლებში დაგეგმილია მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზება, სკოლის ბაზაზე კონფერენციების, შეხვედრების ჩატარება /ინოვაციური სტრატეგიების დანერგვა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

მასწავლებლის საქმიანობა ითვალისწინებს პროფესიულ ზრდას. სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ჩართულნი არიან კარიერული დაგეგმვის და წისვლის სქემაში, პედაგოგთა პირადი საქმეებით დასტურდება, რომ მასწავლებლებმა იცვალეს სტატუსი და სკოლა ხელს უწყობდა ამ პროცესს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია კარიერული ზრდა, როგორც წახალისების ფორმა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 აგვისტოს N 02 – 113 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-18 მუხლი არეგულირებს თანამშრომლის სოციალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხს. დოკუმენტის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ადაპტაციისა და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის პროცესს, რათა მათ შეძლონ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა და გახდნენ გუნდის ეფექტიანი წევრები. ადაპტაციის პროცესი მოიცავს სამ ეტაპს: მოლოდინების ჩამოყალიბებას, საწყის სოციალიზაციის პერიოდს და ორგანიზაციის სრულფასოვან წევრად ინტეგრაციას. ახალი თანამშრომლების სწრაფი

ადაპტაციის მიზნით სკოლა აცნობს მათ შიდა წესებსა და ტრადიციებს და ახორციელებს შესაბამის მხარდამჭერ აქტივობებს, როგორიცაა ორგანიზაციასთან პირველი შეხვედრა, ექსკურსია, თანამშრომელთა გაცნობა და მენტორი მასწავლებლის (მაძიებელი პედაგოგის შემთხვევაში ტუტორის) დანიშვნა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

დირექცია ხელს უწყობს და მხარს უჭერს პედაგოგებს გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგები, დროულად აწვდის ინფორმაციას თანამშრომლებს დაგეგმილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების შესახებ. მასწავლებელთა პირად საქმეში ინახება ცნობები, სერთიფიკატები, რითაც დასტურდება თანაშრომელთა მიერ კვალიფიკაციის ამაღლება. პედაგოგებმა გასაუბრებისას ექსპერტებთან დაადასტურეს რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- 2025-2026 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 აგვისტოს N 02-106 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით. სკოლა საგანამანათლებლო საქმიანობას წარმართავს თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. სკოლის თითოეული რგოლი ურთიერთდაკავშირებულად ფუნქციონირებს სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა საქმიანობა საერთო ჯამში ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. სკოლა, როგორც ორგანიზაცია და ინსტიტუცია, თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სწავლა-სწავლებისა და მართვის ხარისხზე დაკვირვება და პროცესების შეფასება ციკლური ხასიათისაა. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ეფუძნება PDCA ციკლს და მოიცავს ოთხ ეტაპს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და განვითარებას. პირველ ეტაპზე იგეგმება შეფასებისა და რეაგირების პროცესები. მეორე ეტაპზე ხორციელდება დაგეგმილი შეფასება, იდენტიფიცირდება გასაუმჯობესებელი საკითხები და ხდება შესაბამისი რეაგირება. მესამე ეტაპზე ფასდება განხორციელებული ცვლილებების შედეგები და გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობა. მეოთხე ეტაპზე კი მიღებული შედეგების საფუძველზე ხორციელდება პროცესების დახვეწა და საჭირო დოკუმენტაციისა და ინსტრუმენტების განახლება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას გააზრებული და იდენტიფიცირებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და შვიდწლიან სტრატეგიაში წარმოდგენილია პასუხისმგებელი პირები, რომლებიც მართავენ პროცესებს. თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, სადაც იკვეთება სკოლაში მიმდინარე პროცესებიც. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ არცერთ დოკუმენტში არ არის აღწერილი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. დაწესებულებაში შიდა პროცესები უნდა იყოს დოკუმენტურად გაწერილი და უნდა მოიცავდეს პროცესის დასახელებას, მიზანსა და მოსალოდნელ შედეგს, ქვეპროცესებს, პროცესში მონაწილე სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს, პროცესის დიაგრამას, ასევე საჭიროების შემთხვევაში დამატებით ინფორმაციას.

ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი.

დაწესებულებამ 2026 წლის 16 აპრილის MES 2 26 0000442667 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის მტკიცებულებები. კერძოდ, სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის15 აპრილის N-02- 14 ბრძანება „სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ”. ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი დოკუმენტი. იგი მოიცავს პროცესის დასახელებას, მიზანსა და მოსალოდნელ შედეგს, ქვეპროცესებს, პროცესში მონაწილე სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 09 სექტემბრის N 09 - 01 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი, რომლითაც განსაზღვრულია საჩივრის განხილვაში მონაწილე სუბიექტი/ ორგანო, საჩივრის განხილვის ვადები, საჩივრის განხილვის პრინციპები, გადაწყვეტილების სახეები და ა.შ. ეს პროცესი სკოლის შინაგანაწესშიც არის დარეგულირებული. სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტირის 2024 წლის 09 სექტემბრის N 02-04 ბრძანებით ასევე დამტკიცებულია „მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/ პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“, სადაც გაწერილია პერსონალის, მოსწავლის, მშობლის კანონიერი უფლებები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტირის 2024 წლის 09 სექტემბრის N 02-04 ბრძანებით ასევე დამტკიცებულია „მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/ პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მეურვის“), სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. დოკუმენტის თანახმად, მოსწავლეს ან მის მშობელს/მეურვეს უფლება აქვს იცნობდეს სკოლის ბიუჯეტსა და წლიურ გეგმას,

საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს სკოლის ექიმის/ექთნის, ასევე ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მომსახურებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, მათ უფლება აქვთ დამოუკიდებლად მიმართონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს. გარდა ამისა, უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მიმართონ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს ან სასამართლოს. სკოლაში დასაქმებულ თითოეულ პირს უფლება აქვს ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დაცული შრომითი, სოციალური და სამართლებრივი უფლებებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი;
- მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/ პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 აგვისტოს N 02-105 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი", რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების ინფორმირების წესს. ყოველგვარ საჯარო ინფორმაციას და მათ შორის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სკოლა აქვეყნებს სკოლის მეორე სართულის ფოიეში განცხადებების დაფაზე და ასევე მის გვერდზე სოციალურ ქსელში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათგან უკუკავშირის მიღების წესს. დაწესებულება იყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს: ა) სკოლის ვებგვერდი; ბ) ელექტრონული ფოსტა; გ) დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; ე) სოციალური მედია; ვ) საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. პასუხიმგებელი პირი და საინიციატივო ჯგუფი პერმანენტულად მართავს შეხვედრებს, აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას შმედგომში უკუკავშირის მიღების მიზნით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება სკოლის საქმიანობის ხარისხის

გასაუმჯობესებლად. სკოლის მეორე სართულის დერეფანში დევს პრობლემების ყუთი, სადაც თავს იყრის სასკოლო საზოგადოებიდან წამოსული ანონიმური უკუკავშირი სასკოლო პრობლემებთან დაკავშირებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი, პედაგოგიური საბჭო. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებად ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასკოლო ცხოვრებაში და კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულები არიან მშობლები. სამეურვეო საბჭოს რამდენიმე ოქმი მაგალითად ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ასევე სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი. წარმოდგენილი ოქმებით დასტურდება მშობელთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა პროცესში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომლის წევრები არიან როგორც პედაგოგები და მოსწავლეები, ასევე მშობლები. ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ დასაქმებულ პირებსა და მშობლებს. როგორც გამოიკვეთა სკოლა აქტიურად მართავს შეხვედრებს და იწვევს მშობლებს როგორც დაგეგმვის ეტაპზე, ისე სხვადასხვა ღონისძიებებზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;
- მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 09 იანვრის №02-02 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების წესი“, რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს, სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მექანიზმებს, საინფორმაციო ღონისძიებებს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასა და ფიზიკური უსაფრთხოების რეგულაციებს. ამასთან, სკოლის დირექტორის 2024 წლის 05 აგვისტოს №02-112 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, სადაც გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნები, სახანძრო უსაფრთხოების წესები, წესრიგისა და ქონების დაცვის მექანიზმები, ასევე საგანგებო სიტუაციებში, მათ შორის ფეთქებადი ნივთიერების აღმოჩენისას, მოქმედების პროცედურები. სკოლას აქვს სკოლის დირექტორის 2024 წლის 31 ივლისის №02-97 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (2024 წლის 02 აგვისტოს MIA 9 24 02356020 წერილი). სკოლას არ აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც იგეგმება 4/1/2026-9/1/2028 პერიოდში აღნიშნული დოკუმენტის მოპოვება. დაწესებულებამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა N002996424 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია რომ სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არა დამაკმაყოფილებელია და საჭიროებს რეაბილიტაციას. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა ექსპერტებთან გასაუბრებისას, სკოლაში ფაქტობრივად უკვე განხორციელდა აღნიშნული პრობლემა რაც დასკვნაში იყო მითითებული. თუმცა ვიზიტისას არ წარმოუდგენია დაწესებულებას უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა. დაწესებულებას ასევე არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დასკვნის პროექტში **ექსპერტთა**

შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა.

დაწესებულებამ 2026 წლის 16 აპრილის MES 2 26 0000442667 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 01/05/2026-01/04/2027 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2026 წლის 20იანვრის MES 4 26 0000035986 და 15 აპრილის MES 9 26 0000432863 კორესპოდენციები, რომლითაც მიმართავს ოზურგეთის მერიას შესაბამისი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მოთხოვნით. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15^2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე **აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, კერძოდ, 15/01/2026-01/09/2026 პერიოდში, უზრუნველყოს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; ხოლო უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის მოპოვება 01/05/2026-01/04/2027 პერიოდში.

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სრულად. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ ექიმის კვალიფიკაცია თანხვედრაში არ მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან. კერძოდ, სკოლის ექიმს არ ჰქონდა მოქმედი სახელმწიფო სერტიფიკატი

პედიატრიის, საოჯახო მედიცინის ან ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრიის მიმართულებით. სკოლის ექიმის პირად საქმეში არსებული სახელმწიფოს მიერ გაცემული სერტიფიკატის თანახმად, რომლის მოქმედების ვადაც იყოს 2006 წლის 25 მაისამდე, პირს უდასტურდებოდა ნებადართული სპეციალობა კარდიოლოგიის მიმართულებით. **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება", რადგან ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას.**

დაწესებულებამ 2026 წლის 16 აპრილის MES 2 26 0000442667 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 01/05/2026-01/09/2026 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე **აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(01/05/2026 -01/09/2026) უზრუნველყოს ექიმის კვალიფიკაციის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების აღმწერი დოკუმენტის შემუშავება.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში მომუშავე მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სივრცეზე უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ყველა მასწავლებელი ასრულებს მასზე დაკისრებულ მორიგეობის ფუნქციას. სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონტროლდება სკოლაში შემოსული ყველა სუბიექტის მოსვლის მიზეზი. კლასის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გამოიძახონ მოსწავლის მშობელი. სკოლაში დამონტაჟებული

უსაფრთხოების კამერები შიდა და გარე პერიმეტრზე და ხდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი. სკოლას ჰყავს მანდატურები, რომელიც ახორციელებენ უსაფრთხოების კონტროლს და ხელს უწყობენ სასკოლო საზოგადოებაში წესრიგის შენარჩუნებას. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც გამოკრულია თავალსაჩინო ადგილას, იცნობს სკოლაში დასაქმებული პერსონალი და მოსწავლეები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დაცულია თითოეული მოსწავლისა და თანამშრომლის ღირსება, უფლებები და კეთილდღეობა. სკოლაში დანერგილია მხარდამჭერი და ინკლუზიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს, კონფლიქტების პრევენციასა და ეფექტიან მართვას. დარღვევების აღმოჩენისას, სკოლა სათანადოდ რეაგირებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ეს იქნება მანდატურის სამსახურისა თუ სამართალდამცველი რგოლების ინფორმირებულობა. ასევე, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენას და ინტერვენციების განხორციელებას. დადებით ფსიქოლოგიურ კლიმატს ქმნის და ავითარებს მიკუთვნებულობის გრძნობას სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები: ,,ბრავო მაესტრო", ,,მოსწავლეთა წარმატების აღიარება, ,,ერთად უკეთესია" და სხვა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 03 აგვისტოს N 02 – 109 ბრძანებით დამტკიცებული სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მოწესრიგებული და გამართულია სველი წერტილები, ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, ყოველდღიურად სველი წესით ლაგდება საკლასო ოთახები, დერეფნები, გამოიყენება სადეზინფექციო საშუალებები სველი წერტილების დასამუშავებლად, თხევად საპონს. მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, სკოლას ემსახურება დამლაგებლები, სკოლაში არის სუფთა და უსაფრთხო გარემო. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიდამო. სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით, საპონით და ქაღალდით. სკოლის ბიუჯეტით და წლიური შესრულებებიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლა ხარჯავს ფინანსებს და აქვთ ჰიგიენური საშუალებების მარაგები. ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისას შენობა იყო მოწესრიგებული და დაცული იყო ჰიგიენის ნორმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 09 იანვრის N 02-09 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. დაწესებულებაში განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. დაწესებულების წარმომადგენლები აცნობიერებენ პეროსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობას. სკოლის სოციალურ ქსელში ფოტომასალა ქვეყნდება მშობელთა ნებართვების საფუძველზე. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეს და მშობელს მიეწოდება პირადად, კონფედენციალობის დაცვით. სკოლა ინფორმაციას გაცემს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაფარვის შემდეგ. აღნიშნული დასტურდება სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა კონფიდენციალურობას, უსაფრთხოებასა და მიზნობრივ გამოყენებას. დაწესებულებაში განსაზღვრულია ინფორმაციის მართვის წესები, მათ შორის მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაზიარების პროცედურები. წვდომა ინფორმაციაზე რეგულირდება უფლებამოსილების პრინციპით. აღნიშნული საკითხი რეგულირდება სკოლის დირექტორის 2024 წლის 09 იანვრის N 02-09 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

დაწესებულება ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს აღნიშნული მექანიზმების მუშაობის გამართულობას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის: დირექტორი, მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი, დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. წელიწადში ოთხჯერ ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომა, ამ სხდომაზე განიხილება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. ხოლო სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარადგენს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების

შესრულებასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი, რომლითაც დასტურდება რომ სკოლა ამ მიმართულებით აწარმოებს შეფასებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების წესი;
- სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 02 აგვისტოს MIA 9 24 02356020 წერილი;
- ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ექიმის პირადი საქმე;
- პროექტების განხორციელების დამადასტურებელი მასალები;
- სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- არგუმენტირებული პოზიცია;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 20იანვრის MES 4 26 0000035986 და 15 აპრილის MES 9 26 0000432863 კორესპოდენციები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლა განთავსებულია ქალაქ ოზურგეთში, გოგებაშვილის ქ, N8-ში. დაწესებულებას შენობა-ნაგებობა და ფართი სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ აქვს გადაცემული პირველადი სარგებლობის უფლებით, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით N26.26.01.647. სკოლის საერთო ფართი შეადგენს 4341 კვ.მ.-ს. დაწესებულების ეზოში დგას სამსართულიანი შენობა: I სართული-990.32 კვ.მ; II სართული-1010.57 კვ.მ; III სართული-1013.45 კვ.მ; სარდაფი-328.96 კვ.მ. საერთო ფართი შეადგენს 3343.30 კვ.მ., რომელშიც განთავსებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, ასევე ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი და რესურსოთახი, ბიბლიოთეკა. ყველა სართულზეა სველი წერტილები. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, შენობის რეაბილიტაცია განხორციელდა 2008 წელს. ამ ეტაპზე სკოლას ესაჭიროება კოსმეტიკური რემონტი. სპორტდარბაზი, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ტექნოლოგიების ოთახი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება 4772 წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლას აქვს მარტივი ტიპის ღია სპორტული მოედანი, სკოლის ეზო კაპიტალურადაა შემოღობილი. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 1000 მოსწავლე. სკოლაში სწავლობს 950 მოსწავლე. სკოლაში არის 32 საკლასო ოთახი, ამ ეტაპზე სკოლას მფლობელობაში აქვს 830 ინდივიდუალური სკამი და მერხი. დაწესებულებას სასწავლო პროცესს წარმართავს ორ ცვლაში. შესაბამისად, სკოლამ შეიძლება მიიღოს 1000 მოსწავლე ორ ცვლაში. ისე რომ ცვლაში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატებოდეს 830 მოსწავლეს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 01 აგვისტოს N 02 – 103 ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, ასევე 2024 წლის 02 იანვრის N 02-01 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლებითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხი. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს სკოლის ინფრასტრუქტურა საკუთარი განვითარებისა და სკოლის სასარგებლოდ. დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფდეს მათი ეფექტიან, უსაფრთხო და თანაბარ ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. საერთო სარგებლობის სივრცეები (საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სანიტარული კვანძები და სხვა) ფუნქციონირებს წინასწარ განსაზღვრული წესებისა და განრიგის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 იანვრის N 02-01 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, მოსწავლეები პედაგოგები აქტიურად სარგებლობენ წიგნებით, რაც დასტურდება მკითხველის ფორმულარებითაც, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გაცემული წიგნების შესახებ. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის, ფუნქციონირებს განსაზღვრული სამუშაო გრაფიკით და ქმნის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისთვის შესაბამის გარემოს. სკოლა ზრუნავს საბიბლიოთეკო რესურსების პერიოდულ განახლებასა და გამრავალფეროვნებაზე, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებაზე, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და გამოყენების უნარების განვითარებას. ექსპერტებმა ვიზიტისას, გადაამოწმეს შემთხევითი შერჩევის პრინციპით ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, თითეული წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკე წესის შესაბამისად. სკოლას არ აქვს ამ ეტაპზე შემუშავებული ციფრული კატალოგი, წიგნების აღრიცხვას ბიბლიოთეკარი ახდენს ხელნაწერ ჟურნალში. ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები. დადგინდა, რომ თითოეული წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შემუშავებული ციფრული კატალოგი; წიგნების აღრიცხვას ბიბლიოთეკარი აწარმოებს ხელნაწერ ჟურნალში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ უზრუნველყოს საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვისა და მართვის პროცესის დიჯიტალიზაცია, კერძოდ, შეიმუშაოს და დანერგოს ციფრული კატალოგი, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს წიგნადი ფონდის მოძიებას, აღრიცხვასა და კონტროლს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სასკოლო საზოგადოება ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები. სკოლის შემოსასვლელში არის პანდუსი, რომლითაც საშუალება აქვს ეტლით მოსარგებლეს შევიდეს შენობაში. ამავდროულად სკოლაში არის ადაპტირებული საპირფარეშო და სველი წერტილი. თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის არ არის უზრუნველყოფილი შენობის სივრცეში თავისუფალი გადაადგილება. შენობა არ არის ადაპტირებული სრულად, შესაბამისად, ეტლით მოსარგებლე პირს არ აქვს შესაძლებლობა ავიდეს შენობის მეორე და მესამე სართულზე. **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, რადგან შენობა არ არის სრულად ადაპტირებული.**

დაწესებულებამ 2026 წლის 16 აპრილის MES 2 26 0000442667 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 01/05/2026-01/05/2027 პერიოდზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს. ასევე დამატებით წარმოდგენილი იქნა სკოლის დირექტორის 2026 წლის 15 აპრილის MES 3 26 0000434496 კორესპოდენცია. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15^2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე **აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, კერძოდ, 01/05/2026-01/05/2027 პერიოდში, უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლაში შექმნილია სასწავლო გარემო. არის ბიბლიოთეკა, მოწესრიგებული ეზო. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტებს. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციო კულტურულ განვითარებას. მოსწავლეებისთვის შექმნილია ყველა პირობა, რომ ჰქონდეთ სკოლაში ყოფნის სურვილი. ფუნქციონირებს ბუფეტი, არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ დადგენილი გრაფიკით. მოსწავლეებს გამოყოფილი აქვთ სივრცე კლუბებისა და პროექტებზე მუშაობისთვის, ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა-იდეათეკა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ინვენტარიზაციის მასალები;
- სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;
- მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- მკითხველის ფორმულარები;
- წიგნების აღრიცხვის ჟურნალი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული - 38 კომპიუტერი, 109 ლეპტოპი, პროექტორები სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენებით წარმატებით ხორციელდება სწავლა/სწავლების პროცესი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების გამოყენებით წარიმართება სასწავლო პროცესი და კოლეგების სამუშაო შეხვედრები ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკაში. კომპიუტერთან მუშაობა შეუძლია ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები. დაშვებულია: ტექსტების შეყვანა და რედაქტირება; ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა; დისკების გამოყენება დასაშვებია უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით; ელექტრონული ფოსტით სარგებლობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 09 იანვრის N 02-07 ბრძანებით დამტკიცებული ,,კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი", რომლითაც საინფორმაციო მენეჯერი განკარგავს არსებულ ტექნიკასა და ლაბორატორიას. შექმნილია სამუშაო სივრცეები პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის. მატერიალური რესურსის განკარგვის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 01 აგვისტოს N 02-103 ბრძანებით რეგულირდება ტექნიკის გამოყენება. სკოლა ზრუნავს არსებული ტექნოლოგიური რესურსების გამართულ ფუნქციონირებაზე, მათი პერიოდული განახლებისა და გაუმჯობესების უზრუნველყოფაზე. ამასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, რაც ხელს უწყობს ციფრული უნარების განვითარებას და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ეფექტიან ინტეგრირებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინვენტარიზაციის მასალები;
- მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებულებას სკოლის დირექტორის 2024 წლის 09 იანვრის N 02 05 ბრძანებით დამტკიცებულიც აქვს ,,საქმისწარმოების წესი", რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან,კერძოდ, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანებასთან. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ეხება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, დოკუმენტაციის წარმოებისთვის აქვს E-flow და E-school ის ბაზა რომელთა მოხმარებაც შეუძლია სკოლის ყველა თანამშრომელს პირადი მომხმარებლის და პაროლის საშუალებით. სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (onlineschool.emis.ge). შემოსული და გასული კორესპოდენციის, ასევე ბრძანებების ატვირთვა ხდება eflow-ში. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა სკოლის eschool-ის ბაზა. სკოლას სრულყოფილად აქვს ყველა საჭირო მონაცემი ასახული. ყველა საჭირო მონაცემი სწორია და შეესაბამება არსებულ რეალობას. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა ფინანსური ანგარიგების ამსახველი დოკუმენტების წარდგენის დამადასტურებელი წერილები, სამეურვეო საბჭოსთან წარდგენილი ანგარიშები. საქმისმწარმოებელმა აღნიშნა, რომ შემოსულ განცხადებებზე, როცა რაიმე ტიპის ინფორმაციის გამოთხოვას ეხება, უკუკავშირი ხდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი;
- შემოსული კორესპოდენციები;
- ბაზების ვიზუალური დათვალიერებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი. ასევე იყენებს სოციალურ ქსელს Facebook-ის გვერდს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ ვრცელდება ამ გვერდების საშუალებით. გარდა ამისა, შექმნილია ჯგუფები სოციალურ ქსელში, სადაც მოსწავლეთა მშობლებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია კლასის დამრიგებლების მიერ. ვიზიტისას სკოლა ახორციელებდა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. ხდება გადამოწმება სკოლის დირექციის მიერ და ვრცელდება მხოლოდ მას შემდეგ. ან ვრცელდება სამინისტროს ოფიციალური გვერდიდან აღებული ინფორმაცია. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ჩვენი სკოლა აქტიურად იყენებს Microsoft Forms -ს აპლიკაციას ელექტრონული გამოკითხვისთვის. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, შესაბამისად სკოლის ვებგვერდი არის ერთენოვანი, რადგან არ აქვთ უცხო ენაზე გვერდის ქონის საჭიროება. სკოლას ვიზიტისას ჰქონდა ქართულენოვანი ვებგვერდი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდის სტრუქტურა არის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს განათავსებს საანგარიშო პერიოდის დასრულებისთანავე. ასევე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

დაწესებულებამ წარმოადგინა ბოლო ორი წლის ბიუჯეტები თავისი შესრულებებით, რითაც დასტურდება რომ სკოლას აქვს საკმარისი შემოსავლები განახორციელოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებით, ჰიგიენური საშუალებებით, იხდის გათბობის თანხებს. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა მიღება– ჩაბარების აქტი) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ანგარიში ფინანსურ საკითხებზე, რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. გარდა ამისა, სკოლა მონიტორინგს უწევს ხარჯებს კვარტალურად. სკოლის ბიუჯეტი ყველასთვის ცნობილია. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ბიუჯეტი თავისი შესრულებებით;
- სამეურვე საბჭოს ოქმები;
- დირექტორის ანგარიში.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 8 აგვისტოს №02-107 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი“, რომელიც არეგულირებს მოსწავლის მობილობას, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის პროცედურებს. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომელთა გაცნობაც უზრუნველყოფილია სკოლის მიერ, სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ამასთან, სკოლაში ფორმდება ხელშეკრულება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის, რაც დამატებით უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დაცვას. სკოლის შინაგანაწესი ასევე მოიცავს მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომების პრევენციის მექანიზმებს. აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან

კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისთვის მათი უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობას, რაც ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრებისა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების მეშვეობით. შინაგანაწესი დეტალურად განსაზღვრავს მოსწავლის წახალისების ფორმებსა და მათი გამოყენების წესს, დისციპლინური გადაცდომების ტიპებსა და პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური წარმოების წესს, მოსწავლის მატერიალურ პასუხისმგებლობას, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურებს, აგრეთვე სკოლაში ჩაცმულობის წესს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ასევე ხელშეკრულებას ეცნობა როგორც კანონიერი წარმომადგენელი, ისე სკოლის პერსონალი. აღნიშნული რეგულაციები არის გამჭვირვალე, არ არის ორაზროვანი და არ იძლევა ინტერპრეტირების შესაძლებლობას. შინაგანაწესი გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, რაც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას. სკოლის შინაგანაწესს პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას როგორც მოსწავლის ვალდებულებების, ისე უფლებების შესახებ. ასევე მოიცავს ინფორმაციას მხარეთა შესახებ, ხელშეკრულების ნომრისსთვის განკუთვნილ ადგილს, გაფორმების თარიღსა და ადგილს, ხელშეკრულების საგანს. წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი;
- მოსწავლის მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან დასადები ხელშეკრულების ნიმუში;
- შინაგანაწესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 02/08 N 02-107 ბრძანებით დამტკიცებულია ,,მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, აღდგენის წესი", რომლითაც რეგულირდება მოსწავლის ჩარიცხვასთან და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული წესი უმეტესწილად თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან ზოგადი განათლების შესახებ კანონთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებასთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებასთან. თუმცა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 თებერვლის №17/ნ ბრძანებით ცვლილება განხორციელდა პირველკლასელთა ჩარიცხვის ეტაპებთან დაკავშირებით. მესამე ეტაპზე რეგისტრაცია ცხადდება – იმ კატეგორიის მოსწავლეებისათვის, რომელთა რეგისტრაციის (იურიდიული) მისამართი ემთხვევა, მინისტრის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ტერიტორიულ ერთეულებს (ტერიტორიულობის პრინციპით რეგისტრაცია). შესაბამისად, სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 02/08 N 02-107 ბრძანებით დამტკიცებულია ,,მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, აღდგენის წესის მეხუთე მუხლი შესაბამისობაშია მოსაყვანი მინისტრის ზემოთმოთმოხსენიებულ ბრძანებასთან. რადგანაც ჯერ მოსწავლეთა რეგისტრაცია აღნიშნული ცვლილების შემდგომ არ განხორციელებულა, ექსპერტთა მიერ არ დაფიქსირებულა ხარვეზი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

<u>ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ დროულად განახორციელოს შიდა ნორმატიული აქტის - „მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესის" შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 თებერვლის №17/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ცვლილებებთან.</u>

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

დაწესებულება მოქმედებს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, ასევე სკოლის მიერ დადგენილი წესის თანახმად. ვიზიტისას შესწავლილ იქნა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, ასევე ჩატარდა გასაუბრება საქმისმწარმოებელთან. დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვას და სხვა პროცედურებს ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილი ვადების შესახებ ხდება მშობლის მუდმივი ინფორმირება სატელეფონო საუბრების და პირადი შეხვედრების ფორმატში. ხდება გაცდენების მუდმივი მონიტორინგი, რაც ასევე შესაძლოა გახდეს მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველი. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დაწესებულებას განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების შესახებ. თუმცა ამ ეტაპზე სკოლა არ ეწევა ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბებისა და წრეების სახით: სხვადასხვა კონცეპტუალური დოკუმენტი / მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, შინაგანაწესი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი/ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. მეხუთე კლასში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მეორე უცხო ენას. ენის არჩევა ხდება მშობლებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ მე-4 კლასის დასრულებისას, მშობელთა კრებებზე, მშობლების მიერ, ფარული კენჭისყრით, ხდება სკოლის მიერ შეთავაზებული მეორე უცხო ენის (რუსული, გერმანული) არჩევა. საშუალო საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ასარჩევ საგნებს. სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეებთან შეხვედრით, მათი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრავს ასარჩევი საგნების ნუსხას. სკოლა უზრუნველყოფს ყველა საჭირო რესურსის შეძენას. მოსწავლეებმა და მშობლებმა იციან წრეებში მუშაობის წესები და პირობები. სკოლას აქვს ტრადიცია სკოლაში შემოსვლამდე ბაღის აღსაზრდელები სტუმრობენ სკოლას. მათ ხვდება სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები. ათვალიერებენ სასწავლო გარემოს და ეცნობიან სასწავლო სივრცეს. სკოლის მიერ იჯარით გაცემულ ფართზე ფუნქციონირებს სასკოლო ბუფეტი, სადაც დაცულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის N410 ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციები. სკოლის ადმინისტრაცია პერიოდულად ახდენს მონიტორინგს. შობელს აქვს ელექტონულ ჟურნალზე წვდომა და სემესტრული ნიშნის გამოსწორების სურვილის შემთხვევაში დადგენილ ვადებში განცხადებით მიმართავს სკოლას. სკოლის დირექტორი დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად ნიშნავს სემესტრულ გამოცდას. აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია სასკოლო

საზოგადოება. ასევე თვალსაჩინოდ არის გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ქცევას და სკოლის პოლიტიკას მოსწავლის მხრიდან არასასურველი ქცევის შემთხვევაში. გარდა ამისა, კლასის კრებებზე ხდება მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

დაწესებულება ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენეს სოციალურ ქსელს და სკოლის ოფიციალურ ვებგვერდს. ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა სკოლის ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქ-გვერდი, მასზე განთავსებული ინფორმაცია იყო უტყუარი, შესაბამისობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან და არ შეიცავდა რაიმე ტიპის დისკრიმინაციას. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან ინფორმაციის გაზიარებას, ხდება დაზუსტება და გადამოწმება და მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 31 ივლისის №02-101 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესში განსახორციელებელ ღონისძიებებს და მოიცავს როგორც პირველკლასელთა, ისე მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის მექანიზმებს. სკოლაში მობილობით შეიძლება ჩაირიცხოს ნებისმიერი კლასის მოსწავლე, რომელსაც შესაძლოა გაუჭირდეს ახალ გარემოსა და კლასთან შეგუება. ასეთ შემთხვევაში, ადაპტაციის პროცესს კოორდინაციას უწევს დირექტორის მოადგილე, რომელიც უზრუნველყოფს ახლადშემოსული მოსწავლის გაცნობას სკოლის გარემოსთან. იგი მოსწავლეს წარუდგენს კლასის დამრიგებელს, რომელიც თავის მხრივ აცნობს მას კლასის სხვა მოსწავლეებს და უზრუნველყოფს მის ინტეგრაციას სასწავლო სივრცეში. კლასის დამრიგებელი ვალდებულია გაეცნოს მოსწავლის პირად საქმეს კონფიდენციალობის სრული დაცვით, ასევე შეხვდეს მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს, რათა უკეთ გაერკვეს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და საჭიროებებში. ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, დამრიგებელი ორგანიზებას უწევს სხვადასხვა აქტივობას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ურთიერთგაცნობასა და ახალ მოსწავლესთან მეგობრული გარემოს შექმნას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მის ეფექტიან ინტეგრაციას სასკოლო ცხოვრებაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

განხორციელებული ღონისძიებები, თუ პროექტები მიზნად ისახავს ხელი შუწყოს მოსწავლეებს იგრძნონ თავი სასკოლო საზოგადოების წევრებად, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის პრიორიტეტული და ეფექტური მექანიზმი მოსწავლეთა ადაპტაციისათვის არის სასკოლო აქტივობებში, ღონისძიებებსა თუ პროექტებში მათი ჩართვა. სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეებს და მათ მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია გაწერილი. მიღებული უკუკავშირის ან დამდგარი საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გეგმამ მოდიფიკაცია განიცადოს. თუ მოსწავლე სკოლაში მობილობით გადმოდის მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ხელშეკრულების პირობებს და სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს. თანაკლასელებთან ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს დამრიგებლის მეთვალყურეობით და საჭიროების შემთხვევაში იგი ახდენს ინტერვენციას. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეებთან, სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები ან საკლასო პროექტი, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები მათი საჭიროებების გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, წარმატებასა და პროგრესზე. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს, იყენებენ განმავითარებელ უკუკავშირს, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით გეგმავენ საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. გაკვეთილებზე იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, მრავალფეროვან თვალსაჩინოებებს. საჭიროების შემთხვევაში გაკვეთილების შემდეგ კონსულტაციას უწევენ მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. აკადემიური მიღწევების შესახებ მსჯელობენ კათედრის სხდომებზე, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ რჩევებსა და რეკომენდაციებს ერთმანეთს, ატარებენ ერთობლივ კლასგარეშე ღონისძიებებს. ეხმარებიან მოსწავლეებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ სიძნელეების დაძლევაში, ძლიერი მხარის განვითარებას და სუსტ მხარეზე ყურადღების გამახვილებაში. სკოლა სხვადასხვა აქტივობით ცდილობს მოსწავლეებს ჩამოუყალიბონ და განუვითარონ სხვადასხვა უნარები. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი სადაც მოსწავლესა თუ მშობელს შეუძლია მიიღოს დეტალური ინფორმაცია მოსწავლის განმსაზღვრელ თუ განმავითარებელ შეფასებაზე, დამრიგებლები მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე განიხილავენ მოსწავლეების აკადემიური მოსწრებისა და ქცევის საკითხებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. საჭიროების შემთხვევაში, მშობლის განცხადებისა და შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მოსწავლე გადაჰყავს შინ სწავლების ფორმაზე. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მათ მოთხოვნებზე რეაგირებს უმოკლეს ვადებში. ასევე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მშობლების მიმართვებისა და საჭიროებების გათვალისწინებით განხორციელდა გარკვეული გადაწყვეტილებებისა და პროცესების კორექტირება, რაც მიუთითებს სკოლის მოქნილ და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ მიდგომაზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით უზრუნველყოფს დამატებითი და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას, რაც ხელს უწყობს

მოსწავლეთა ინტერესების განვითარებასა და მათი ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბები, მათ შორის ენების, სპორტის, სამოქალაქო, ეკო და წიგნიერების კლუბები. აღნიშნულ კლუბებს უძღვებიან შესაბამისი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პედაგოგები, რაც უზრუნველყოფს აქტივობების ხარისხიან დაგეგმვას, მიზნობრივ წარმართვასა და საგანმანათლებლო შედეგებზე ორიენტირებას. კლუბებში მონაწილეობა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას გაიღრმავონ ცოდნა, განივითარონ პრაქტიკული უნარები და აქტიურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული არაფორმალური საგანმანათლებლო სივრცე ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითგამოხატვას, გუნდურ მუშაობას და მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა მოსწავლეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გამოყენებით ზრუნავს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებაზე. ინფორმაციის გავრცელება აქტიურად ხორციელდება სოციალური ქსელის საშუალებით, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას და კომუნიკაციის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული არხების მეშვეობით სკოლა იღებს მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირს. სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტაცია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერებაზე. სკოლა ახორციელებდა შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე აუმჯობესებდა მომსახურებას. კერძოდ, გასულ სასწავლო წლებში გათვალისწინებულ იქნა მშობელთა მოსაზრებები და ისე სკოლის სტრატეგიული გეგმა. ამასთან სკოლას უკვე ჩატარებული აქვს მოსწავლეთა გამოკითხვა, რომლის შედეგებიც გამოყენებულია მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული მიუთითებს უკუკავშირის სისტემურ შეგროვებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებაზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- პროექტების განხარციელების დამადასტურებელი მასალები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

საბაზო და საშუალო საფეხურზე კლასების სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია კლასის საათი პროფესიების შესახებ. სკოლას სტუმრობენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები. მათ ეძლევათ საშუალება, შეხვდნენ მოსწავლეებს და ესაუბრონ მომავალ პროფესიებზე, რა სირთულეები ან ხიბლი აქვს ამა თუ იმ პროფესიას. მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ თემში არსებულ კოლეჯ "ჰორიზონტს" ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს. სსიპ ქალაქ ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლა ამ ეტაპზე ჩართულია კავკასიიის უნივერსიტეტის პროექტში Domenico.ge. ეს პროექტი ეხმარება მოსწავლეს მომავალი პროფესიის არჩევაში. მოსწავლეები ექსპერტებთან გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ სკოლა მუდმივად აწვდიოს ინფორმაციას როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის შესახებ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეებს კარიერის დაგეგმვაში. სკოლის მიერ დაგეგმილი პროფორიენტაციის ამოცანებია: დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენაში; გააცნოს მოსწავლეს პროფესიათა სამყარო, ცალკეული პროფესიის თავისებურებანი და ის მოთხოვნები. რომელსაც იგი უყენებს მომუშავეს, აგრეთვე ამ პროფესიით დასაქმების შესაძლებლობანი; დაეხმაროს მოსწავლეს კონკრეტული პროფესიის სწორედ არჩევაში. ამ ამოცანების განსახორციელებლად სკოლა აწყობს შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. თანამშრომლობს პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებიც ხვდებიან მოსწავლეებს და ესაუბრებიან სხვადასხვა პროგრამების და პროფესიების შესახებ. მოსწავლეებს კარიერულ დაგეგმვაში ეხმარებიან კლასის დამრიგებლები. კლასის საათზე აცნობენ სახვადასხვა პროფესიებს, ესაუბრებიან, უჩვენებენ ფილმებს და მსჯელობენ. მშობლები ექსპერტებთან ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ თავადაც იღებენ ინფორმაციას სკოლის ადმინისტრაციისა თუ კლასის დამრიგებლებისგან. ჩვენი სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეები მიწვეულნი იყვნენ ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში მომავალი პროფესიული ორიენტაციიის არჩევისა და დაინტერესების მიზნით. გაიმართა საინფორმაციო და ინტერაქციული შეხვედრა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხდება გაწეული მომსახურების შეფასება და მისი ანალიზი. ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს ხარისხის გაუმჯობესებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):

- სადამრიგებლო პროგრამები;
- ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 2 აგვისტოს №02-108 ბრძანებით დამტკიცებულია „სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების წესი“, რომელიც განსაზღვრავს სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვის, მათი მხარდაჭერისა და შესაბამისი მომსახურების მიწოდების მექანიზმებს. დოკუმენტში ასევე აღწერილია დამხმარე პროცესები, შესაძლო ხელისშემშლელი ფაქტორები და რეკომენდაციები სკოლაში დასაქმებული პერსონალისთვის სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისას. ამჟამად სკოლაში ირიცხება 22 სსსმ მოსწავლე, მათ შორის 14 დაწყებით და 8 საბაზო საფეხურზე. სასწავლო წლის დასაწყისში (სექტემბერში) სკოლამ შეიმუშავა ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც ნათლად არის განსაზღვრული სკოლის როლი და ფუნქცია ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების მიმართულებით. სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი რესურს ოთახი, რომელიც განთავსებულია პირველ სართულზე და ადვილად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. იგი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (ადაპტირებული მაგიდა და სკამი, სასწავლო რესურსები, კომპიუტერი), რაც ხელს უწყობს სსსმ და შშმ მოსწავლეების სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ეფექტიანად წარმართვას. სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა სასკოლო აქტივობაში, რაც ხელს უწყობს მათ სოციალურ ინტეგრაციასა და სასკოლო ცხოვრებაში სრულფასოვან მონაწილეობას. სპეციალური მასწავლებლები ასევე უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას კოლეგებს, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური პრაქტიკის განვითარებას სკოლაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ თანამშრომლობით სკოლაში განხორციელდა პროექტი „გულით, გონებით, ხელებით“, რომლის ფარგლებშიც მოეწყო რესურსოთახი შესაბამისი ინვენტარით. პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდა სკოლის ყველა მასწავლებლის გადამზადება ინკლუზიური განათლების მიმართულებით (მასწავლებლის სახლისა და „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მხარდაჭერით), რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვასა და განვითარებას. აღნიშნული პროექტის შედეგად შესაძლებელი გახდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ადაპტირებული და მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა. სკოლაში სწავლობს ერთი უსინათლო მოსწავლე, რომლის საჭიროებების უზრუნველსაყოფად 7 პედაგოგი გადამზადდა ბრაილის შრიფტით სწავლებაში. გარდა ამისა, სკოლამ უზრუნველყო ბრაილის საბეჭდი მოწყობილობის გამოყენება სასწავლო პროცესში და სისტემურად ზრუნავს მოსწავლის აკადემიურ და სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლეთა ინდ. გეგმის შედგენის პროცესში ჩართულია მშობელი, თითოეული პედაგოგი თავისი კომპეტენციის ფარგლებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ უზრუნველყოს უსინათლო მოსწავლისთვის თანამედროვე დამხმარე ტექნოლოგიების -ბრაილის ეკრანის (Braille display) და ბრაილის ჩამწერის (Braille note taker)- გამოყენების სწავლება და პრაქტიკაში ინტეგრირება. აღნიშნული მოწყობილობები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლის ციფრული უნარების განვითარებას, ინფორმაციის დამოუკიდებლად მიღებასა და დამუშავებას, ასევე გაზრდის მის ჩართულობას სასწავლო პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების წესი;
- ისგ-ს ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ინდ.გეგმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა არ ახორციელებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებებს (როგორიცაა გახანგრძლივებული სწავლება, კვების, ტრანსპორტირების ან საერთო საცხოვრებლით მომსახურება). თუმცა იჯარით გაცემულ ფართში ფუნქციონირებს ბუფეტი და ცეკვის წრე. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს, ქონების მართვის სააგენტოს და სამეურვეო საბჭოს თანხმობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა არ ახორციელებს მსგავს მომსახურებას. თუმცა იჯარით გაცემულ ფართში ფუნქციონირებს ბუფეტი და ცეკვის წრე. აღნიშნული სერვისებით სარგებლობა ნებაყოფლობითია და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა არ ახორციელებს მსგავსი ტიპის მომსახურებას. ექსპერტთა მიერ ინდიკატორი არ შეფასებულა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- იჯარის ხელშეკრულებები;
- მარეგულირებლების თანხმობის წერილები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 9 იანვრის №02-08 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კურიკულუმის მიზანსა და დანიშნულებას, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო კურიკულუმს შორის ურთიერთმიმართებას, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულ და პასუხისმგებელ პირებს, აგრეთვე კურიკულუმთან დაკავშირებულ ძირითად პროცესებს - შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, ასევე გადასინჯვასა და რევიზიას. დამატებით, სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგის ცალკე დოკუმენტი, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და უწყვეტობას. სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ მისი შემუშავებისა და დანერგვის პროცესში გათვალისწინებული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრების სხდომებზე კურიკულუმი ერთობლივად მუშავდება, ხოლო როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, იგი შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს კურიკულუმის ძირითად ასპექტებს, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობასა და ჩართულობას. 2025–2026 სასწავლო წლისთვის დაგეგმილია კურიკულუმის მონიტორინგის განხორციელება. აღნიშნული მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას, მონაცემთა ანალიზს და მიღებულ შედეგებზე დაფუძნებით კურიკულუმში შესაბამისი ცვლილებების ინიცირებას. ამასთან, სკოლაში სისტემატურად ტარდება მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასება სხვადასხვა საგანში. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება საგნობრივი კურიკულუმების კორექტირება, რაც ხელს უწყობს სასწავლო

პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა საჭიროებებზე მეტად მორგებული სასწავლო გარემოს შექმნას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესების სისტემური გათვალისწინება. სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე დაკვირვება, რის საფუძველზეც მასწავლებელი ამზადებს კურიკულუმის სამუშაო ვერსიას. აღნიშნული ვერსიის დაზუსტება და გაუმჯობესება ხორციელდება კათედრების სხდომებზე კოლეგიური განხილვის გზით. კურიკულუმის შემუშავებისა და მოდიფიცირების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის დირექციის წარმომადგენლები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს უწევენ მეთოდურ მხარდაჭერასა და აძლევენ შესაბამის რეკომენდაციებს. ასევე, შემუშავებულია კომპლექსური დავალებების ბარათები, რაც დამატებით მიუთითებს მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფაზე სასწავლო პროცესში. უცხოური ენების სწავლება სკოლაში ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და შესაბამისი საგნობრივი სტანდარტების საფუძველზე: პირველ უცხოურ ენად განისაზღვრება ინგლისური ენა, ხოლო მეორე უცხოურ ენად - რუსული. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ინგლისური ენის სწავლება იწყება პირველ კლასში, ხოლო რუსული ენის - მეხუთე კლასში. ამასთან, სწავლების მესამე საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გერმანულ ენას არჩევითი საგნის სახით, რაც ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა არაფორმალური განათლების კლუბი, მათ შორის: ეკო, კითხვის, სამოქალაქო განათლების, ენების და სპორტის კლუბები. აღნიშნული კლუბები დაფუძნებულია მოსწავლეთა მოთხოვნაზე და ხელს უწყობს მათი მრავალმხრივი უნარების განვითარებას, ინიციატივისა და ჩართულობის გაძლიერებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი სკოლაში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. სკოლის „კურიკულუმის მეთოდოლოგია“ მკაფიოდ განსაზღვრავს ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და დეტალურად აღწერს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლის, კათედრის ხელმძღვანელისა და დირექციის წარმომადგენლების როლსა და ფუნქციებს. კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს თანამშრომლობით გარემოში - მისი განხილვა და დახვეწა ხორციელდება კათედრების სხდომებზე კოლეგიური მსჯელობის საფუძველზე. კურიკულუმი მოიცავს შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმების რეალიზებას და ხელს უწყობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებას. კათედრაზე

შეთანხმებული კურიკულუმი, ერთი მხრივ, აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ხოლო მეორე მხრივ, ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის, თანხმობისა და გუნდური მუშაობის კულტურას. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ორგანიზებულია ეტაპობრივად: საგნობრივ კურიკულუმს ამზადებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე; კოლეგიური შეთანხმების საფუძველზე ყალიბდება საბოლოო ვერსია, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში მტკიცდება. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და საბოლოოდ მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. სასწავლო პროცესში განხორციელებული რეფლექსია, სისტემური უკუკავშირი, პოზიტიური და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, ინიციატივების მხარდაჭერა, განმავითარებელი შეფასების პრაქტიკა, ასევე ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები, უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების ადეკვატურ ასახვას კურიკულუმში და მის მუდმივ განვითარებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი - როგორც დირექცია და პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები - იზიარებენ კურიკულუმის მნიშვნელობასა და მის ფუნქციურ დანიშნულებას. კურიკულუმი წარმოადგენს საჯარო დოკუმენტს, რომელზეც თავისუფალი წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ჩართულობას. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები ატარებენ მშობელთა კრებებს, სადაც საორგანიზაციო საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი დრო ეთმობა სკოლის სასწავლო გეგმისა და კურიკულუმის გაცნობას. ინფორმაცია ვრცელდება როგორც საინფორმაციო დაფების მეშვეობით, ასევე უშუალო შეხვედრებზე, სადაც მოსწავლეებსა და მშობლებს ეცნობათ სადამრიგებლო პროგრამები, კლუბური საქმიანობა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები. დამატებით, ინფორმაციის გაზიარება ხორციელდება ელექტრონული პლატფორმებისა და სოციალური ქსელების დახურული ჯგუფების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის უწყვეტობას და მშობელთა უფრო აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- ინტერვიუები მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ მოსწავლეებთან;

- ინტერვიუ მშობლებთან;
- ინტერვიუ დირექციასთან;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულიმები სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლის განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემუშავებული კურიკულუმები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. კერძოდ, კურიკულუმში, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით მოცემული კონტექსტ მაგალითები, რესურსები, დავალების იდეები (ფოტოკოლაჟი - დღესასწაულები ჩემს ოჯახში, საინფორმაციო ბუკლეტი კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ, არქეოლოგის დღიურის ჩანაწერები დმანისის არქეოლოგიური გათხრების შესახებ, როგორ წარმოვაჩინო კვლევის ანგარიშის საშუალებით (ისპანის სფაგნუმიანი ჭაობების მაგალითზე) ჭაობების ეკოსისტემის ჩამოყალიბება და წარმოქმნის უნიკალურობა? სტატიის შექმნა ადრეული ქორწინების შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ და სხვა), რომლებიც კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, ხელს უწყობს როგორც სასწავლო- შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ასევე მოსწავლეთა ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. ამავდროულად კურიკულუმი

	ითვალისწინებს სასკოლო თემის საჭიროებებს (პროექტი სამოქალაქო განათლებაში „სასკოლო საჭიროებების კვლევა" და მის საფუძველზე განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა) და ადგილობრივ სათემო გარემოს კონტექსტს (მაგ. კომიქსის შექმნა „ჩემი თემის კულტურული მრავალფეროვნების წარმოსაჩენად"). არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლაში განხორციელებული პროექტები (მაგ. „სიცოცხლის სამოსახლოა ჩემი პატარა გურია" და სხვა). განხორციელებული სასწავლო ექსკურსიები ასევე ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვის პროცესს. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და შემუშავებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: 2.1.2.1 სასურველია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ როგორც დაწყებით და საბაზო, ასევე საშუალო საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავებისას უკვე არსებული კურიკულუმების განხორციელების ანალიზის საფუძველზე განავითაროს და დაამატოს მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებზე დაფუძნებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების (ინგლისური, გერმანული და რუსული)დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შუალედურ სასწავლო მიზნებად განიხილება შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს ითვალისწინებს და უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის, ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინარე გამოცდილებასა და პრაქტიკას. დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი წლიური ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. მუსიკის/ხელოვნების საგნების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, სწორად არის განსაზრვრული შემოქმედებითი კომპლექსური დავლებების ალგორითმი, შესანიშნავად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე, ჩანს თემა, რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული

	სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებსა და პრინციპებს , ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და უზრუნველყოფს მასზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები ნათლად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა დაგანვითარების გზას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმების დაგეგმვისას ეყრდნობოდნენ ესგ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტს, ამასთან თემების შერჩევისას გაითვალისწინეს გასული წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლის შესაძლებლობები და ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლამ თავდაპირველად წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში დაწყებითი საფეხურის მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 კლასებისთვის. მე-5 კლასის კურიკულუმი გადმოგზავნილი არ იყო. კურიკულუმების ჩარჩო არაა ერთგვაროვანი. საწყის ეტაპზე გადმოგზავნილი მეორე კლასის კურიკულუმის ჩარჩოს პირველი გრაფა სინამდვილეში ასახავს მიმართულებას და მეორე გრაფა ცნებას, თუმცა საწყის გრაფაში მითითებული აქვს ცნება და თემა. ასევე საწყის ეტაპზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ყველა კლასში არ იყო ასახული ყველა ცნება. კერძოდ: მეორე კლასის კურიკულუმში იკვეთებოდა მხოლოდ ორი ცნება: პირობითი ნიშნები და ალგორითმი. მესამე კლასის კურიკულუმში ასევე არაა მიმართულება; ასახული ან არეულია მიმართულება და ცნება ერთმანეთში, რადგან გრაფას აწერია ცნება და მასში ჩაწერილია კომპიუტერის აგებულება, გრაფიკული ინტერფეისი და ციფრული წიგნიერება. ეს უკანასკნელი კი არის მიმართულება. არაა ასახული ინტერნეტი, ინფორმაცია და გარემო.

	მეოთხე კლასის კურიკულუმში ასევე არეულია ცნებები და მიმართულებები. გრაფას აწერია ცნება და მასში შეტანილია მიმართულება- კომპიუტერული ტექნოლოგიები, ციფრული წიგნიერება და ასევე ამ მიმართულების ცნება ციფრული მოქალაქეობა და ცნება ინტერნეტი. ალგორითმი და ინფორმაცია კი არაა ასახული. მეექვსე კლასის კურიკულუმშიც პირველ გრაფას ცნება აწერია და შეტანილია მიმართულება- კომპიუტერული ტექნოლოგიები და ცნება ინფორმაცია. აქვე ცნებად შეტანილია კომპიუტერული მეცნიერებები, თუმცა სტანდარტში ასეთი ცნება არაა. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ტექნიკური უზუსტობა იყო გაპარული. თუმცა დამატებით მოწოდებულ ვერსიაში სავარაუდოდ ისევ ტექნიკური შეცდომაა, რადგან მეორე კლასის კურიკულუმში დამატებულია მხოლოდ ციფრული მოქალაქეობა და ინტერნეტი არაა დამატებული, სამაგიეროდ ორჯერ მეორდება პირობითი ნიშნები. დამატებით გადმოგზავნილია ასევე მეხუთე კლასის კურიკულუმი, სადაც ჩარჩოში უკვე დამატებულია მიმართულების გრაფა და იკვეთება მხოლოდ სამი ცნება: ინფორმაცია, ციფრული მოქალაქეობა და კომპიუტერის აგებულება. სასკოლო კურიკულუმი მთლიანობაში ასახავს დავალებების იდეებსა და შესაბამის კონტექსტურ მაგალითებს ყველა კლასისთვის. ასევე ჩანს, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სამინისტროს მიერ რეკომენდებულ ინტერაქტიულ და ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებს (მაგ., school.emis.ge). შემოქმედებითი დავალებები მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და ყოველდღიურ გამოცდილებასთან. მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან გრძელვადიან მიზნებზე და შედეგების განსაზღვრას საფეხურის დონეზე გეგმავენ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია მოხდეს მიმართულებების და ცნებების ერთმანეთისაგან გამიჯნვა, კურიკულუმის ჩარჩო იწყებოდეს საგნის მიმართულებით, შემდეგ ცნება/ქვეცნება, რასაც უნდა მოსდევდეს საკითხები. ასევე, რადგან ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სტანდარტის მიერ შემოთავაზებული ყველა მიმართულება მუშავდება ყველა შესაბამის კლასში, მოხდეს კურიკულუმებშიც მათი ჩამატება.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები, რაც კარგად ჩანს მათ მიერ განხორციელებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის გაზრდას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე, ყველა მეთოდი, აქტივობა, თუ რესურსი არის მრავალფეროვანი და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმები ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგნებში წარმოდგენილი კურიკულუმები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ძირითადად შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად: გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები/საფეხურის შედეგები, სასწავლო თემები, საკითხთა კლასტერი, სასწავლო რესურსი, შემოქმედებითი პროდუქტის სახით გაწერილი შუალედური მიზნები. შემოქმედებითი ტიპის დავალებები იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებს განუვითარდეთ ფუნქციურ კომპონენტური უნარები: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია,

	თანამშრომლობა, ნებელობა. თუმცა ცალკეული საგნების კურიკულუმებში, საბაზო და საშუალო საფეხურზე, სასწავლო თემებში ნაწილობრივაა წარმოდგენილი შესასწავლი საკითხები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა: (2.1.2.2) დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური:** 1. სასურველია, საზოგადოებრივ მეცნიერებებში საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი. 2. საგნობრივ კურიკულუმებს მიეცეს სტრუქტურიზებული სახე, რომელშიც გარკვევით იქნება ასახული ცალკეული საკითხების მიმართებით რომელი სამიზნე ცნებებია განსაზღვრული მიზნად, რომელ რესურსებსა და კონტექსტ მაგალითს ეფუძნება საკითხის შესწავლა და რა შემოქმედებით დავალებაზე უნდა იმუშაონ მოსწავლეებმა საბაზო, საშუალო საფეხურზე. 1. მე-9 კლასის ისტორიის კურიკულუმი, თემაში „საქართველო და თანამედროვე მსოფლიო“ აისახოს ყველა ის საკითხი, რომელთა შესწავლაც ხორციელდება მოცემული სავალდებულო თემის ფარგლებში. 2. საბაზო საფეხურის გეოგრაფიის კურიკულუმებში აისახოს ყველა საკითხი, რომელთა შესწავლაც ხორციელდება თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში. 3. სამოქალაქო განათლების პროექტული სწავლების კურიკულუმში აისახოს მეორე სემესტრში განსახორციელებელი პროექტები.
უცხოური ენები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური, რუსული და გერმანული ენების კურიკულუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებთან. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეებს ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნისა და სხვადასხვა უნარის გასავითარებლად (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებასა და სრულყოფას). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები,თემები , რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებასაკენ , რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას,რომლებიც უნდა გადაიტანონ პრაქტიკაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმების მიხედვით სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები, კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო მიზნები და აკმაყოფილებს ესგ-ს მოთხოვნებს. კურიკულუმები აგებულია ისე, რომ ემსახურება მოსწავლეებში ფუნქციურ -კომპეტენტური უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: მათემატიკის შემოქმედებითი დავალების ბარათებსა და მატრიცებში ძველი სამიზნე ცნებები დასაკორექტირებელია ახალი სამიზნე ცნებებით.

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმში თითოეული თემა აგებულია ესგ-ს სამიზნე ცნებებსა და შესაბამის ქვეცნებებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობას. თემებს თან ერთვის დავალების იდეა - საკლასო ან სასკოლო სპორტული ფესტივალები, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას პრაქტიკაში განიმტკიცონ მიღებული ცოდნა და განივითარონ ფიზიკური უნარები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე საგნის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ კურიკულუმის ჩარჩოები (მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასებისთვის) ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. აღნიშნული მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებში. შემოქმედებითი ტიპის დავალებები ავითარებს ციფრულ კომპეტენციებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში ალგორითმული, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან თანხვედრაშია. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდატებში წარმოდგენილი

	შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თემებს ახლავს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ის რესურსები, რომლებიც დაეხმარებათ მიზნების განხორციელებაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი ელექტრონული რესურსები: სამეცნიერო ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა. მათი გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. მასწავლებლებთან გასაუბრების, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმისა და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში ყურადღება ეთმობა რესურსების შერჩევას, მოძიებას და მათ მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში. ასევე იგეგმება რესურსების გამრავლაფეროვნება. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი დავალებები აქციოს სასწავლო რესურსად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: (2.1.2.3) დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური სასურველია კურიკულუმებში ყველა შესასწავლ საკითხთან მიმართებით შერჩეული და მითითებული იყოს დამატებითი რესურსები.

უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სწავლების სამივე საფეხურზე. მასწავლებლებს აქვთ საშუალება, სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისად გამოიყენონ მრავალფეროვანი რესურსი. სკოლა ძირითადად იყენებს გრიფმინიჭებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსს (მათ შორის, ელექტრონულს, რომლის ბმულები წარმოდგენილია კურიკულუმებში), პოსტერებს, მასწავლებლების და მოსწავლეების მიერ შექმნილ რესურსს, რაც ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო კურიკულუმებით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, მკაფიოდ არის წარმოდგენილი მრავალფეროვანი რესურსები, რაც შესაბამისობაშია მოცემულ თემატურ ერთეულებთან, ესგ-ის საგნობრივი სტანდარტით შესაბამის თემებთან, რომლებიც განაპირობებს კურიკულუმით განსაზვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები, როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე (თვალსაჩინოება, ფოტოები, ფილმები, ზეპირი გადმოცემები,რუკები...) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ეს რესურსები არის მრავალფეროვანი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული და მოსწავლეს უქმნის არჩევანის საშუალებას. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თვითონაც ქმნიან და იყენებენ რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმებში შეიტანონ თავიანთი შექმნილი რესურსები, რომლებიც აქვთ და ისედაც იყენებენ.

მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები , მათ შორის ელექტრონული რესურსები რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში თითოეული თემისთვის გათვალისწინებულია მრავალფეროვანი და მიზანმიმართულად შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი. კურიკულუმებში ელექტრონული რესურსები ლინკების სახით არის წარმოდგენილი, აღნიშნული ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა დაინტერესებას, აქტიურ ჩართულობას და სასწავლო მიზნების მიღწევას. ამასთან, ყველა გამოყენებული მასალა სრულად შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგანში „კომპიუტერული ტექნოლოგიები“, კურიკულუმის ჩარჩოში ასახულია ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები. მათ შორისაა school.emis.ge პლატფორმა, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო ვიდეომასალებზე და კონტექსტურ მაგალითებზე მითითებულია ბმულები. ეს რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. ასევე რესურსებია წარმოდგენილი ვირტუალურ სივრცეში პლათფორმა Tinkercad-ზე სამუშაოდ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში ასახულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში. კერძოდ: მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის საჭიროებას სამივე საფეხურზე. ჰყავთ სსსმ მოსწავლეებიც და შესაბამისად იყენებენ ისგ-ებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების საგნებში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმი იძლევა მოდიფიცირების საშუალებას მასში გათვალისწინებული რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. მაგ. მოსწავლეს აქვს არჩევანი შექმნას „ტურისტული გზამკვლევი“ პოსტერის, ელექტრონული პრეზენტაციის ან ხელნაწერის სახით. სკოლის ფეისბუქ გვერდზე გაზიარებულია საზოგადოებრივ მეცნიერებებში ჩატარებული დიფერენცირებული გაკვეთილების ამსახველი მასალა. შესაბამისი კითხვარების საფუძველზე სკოლაში წარმოებს მოსწავლეთა სწავლის ტიპის კვლევა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო რესურსების შერჩევის, საკლასო აქტივობების, შემოქმედებითი ტიპის

	დავალებების და სასკოლო პროექტების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა უნარებს, ინტერესებს და საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტაციზე დაყრდნობით, სკოლაში, ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების მიღება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. წლის დასაწყისში, მოსწავლეთა შესაძლებლობების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, მასწავლებლები, ინკლუზიური განათლების მიმართულებით ჩართულ სპეციალისტებთან ერთად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ნათლად გამოკვეთილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სტატეგია და პრინციპები. სსსმ მოსწავლეთა დავალებები მორგებულია მათ შესააძლებლობებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გათვალიწინებულია საგნობრივი სტანდარტით მოცემული ყველა სამიზნე ცნებება და მასზე დაყრდნობით შექმნილი ადაპტირებული დავალებები, რაც ქმნის მოსწავლის სრულფასოვან შეფასებას. აქტივობები/აქტივობათა კომპლექტაცია მორგებულია მოსწავლის საჭიროებებს და ამოცანებს, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად დამუშავდეს სტანდარტით მოცემული თემები და გრძელვადიანი მიზნები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისადა სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები.სკოლის მიერ წარმოდგენილ შემოქმედებით დავალებებში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები და საჭიროების შემთხვევაში ხდება როგორც დავალების ისე სასწავლო პროცესის ცვლილება და მოსწავლის საჭიროებებზე ადაპტირება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ფიზიკური აღზრდისა დასპორტის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. მათ გაცნობიერებული აქვთ მოსწავლეთა ინდივიდუალური განსხვავებები, ფიზიკური შესაძლებლობები და ინტერესები. აღნიშნული თავისებურებები გათვალისწინებულია ფიზიკური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები უზრუნველყოფენ დავალებების მოდიფიცირებას და მოსწავლეთა უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებას, რაზეც მოწმობს წარმოდგენილი ისგ.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე და ინტერვიუს შემდგომ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა დააფიქსირეს თავიანთი მზადყოფნა, შექმნან ინკლუზიური სასწავლო გარემო. ასევე, დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია - იფერენცირებული დავალების ნიმუში - მიუთითებს მასწავლებლების როგორც პროფესიულ მზადყოფნაზე, ისე შესაბამის გამოცდილებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, იყენებენ მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებთ სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს

	კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებაც. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება კომპონენტების მიხედვით. იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარებათ შეფასების სანდოობაში, გამჭვირვალეობასა და ვალიდურობაში. ხშირად ახდენენ განმავითარებელი შეფასების მიცემას, რაც ეხმარებაღ მიღწევების ამაღლებაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, აგრეთვე განმავითარებელი შეფასება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფის საგნებში შემუშავებულია განმავითარებელიდა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში ჩაშენებულია კონკრეტული შემოქმედებითი დავალების შეფასების და მოსწავლეთა თვითრეფლექსიის რუბრიკები. შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია საგნობრივი სამიზნე ცნებებზე. შეფასებები ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებას. საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომელთა ნაწილი აფასებს მოსწავლეთა ჩართულობას სხვადასხვა აქტივობებში. ყველა საგნში წარმოდგენილია საგნობრივ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათდრის სხდომებზე განხილულია შეფასების რუბრიკები და კათედრის წევრებს დაგეგმილი აქვთ შეფასების რუბრიკების განვითარებასა და სრულყოფაზე მუშაობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. რჩევა: 2.1.2.5**

	1. დაწყებითი საფეხური, მე და საზოგადოება. მე და საზოგადოებაში მატრიცაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები გაიწეროს შეფასების რუბრიკების სახით. 2. დაწყებით (ჩვენი საქართველო, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან) საბაზო და საშუალო საფეხურზე, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შე მავალ საგნებში, თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში, შესასწავლ საკითხებთან მიმართებით შემუშავდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, საგნობრივ სტანდარტში მოცემული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორების მიხედვით. ინდიკატორების შეფასების კრიტერიუმად გარდაქმნისთვის საჭიროა: მათი დაკონკრეტება საკითხებთან მიმართებით; თითოეული მათგანისთვის გარკვეული ქულობრივი წონის მინიჭება; შეფასების რუბრიკა უნდა მოიცავდეს ყველა სამიზნე ცნებას, ან ფოკუსირდეს მხოლოდ რამდენიმე მათგანზე. 3. დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ საგნებში კურიკულუმში ასახული ყველა შემოქმედებითი ტიპის დავალებისთვის შემუშავდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში საგნობრივი სამიზნე ცნებების შინაარსი უნდა იყოს მორგებული კონკრეტული დავალების საკითხს და შინაარსს. 4. ყველა შემაჯამებელი დავალებებისთვის შემუშავდეს შეფასების რუბრიკები, რომელშიც აისახება თემა, საკითხი, დავალების პირობა, საგნობრივი სტანდარტებით თემის ფარგლებში განსაზღვრული მოსწავლის მიღწევების ინდიკატატორებთან ქულობრივი შესაბამისობა. 5. მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების უზრუნველსაყოფად შემაჯამებელი სამუშაოსთვის შერჩეული იყოს მრავალფეროვანი დავალებები, მათ შორის შემოქმედებითი ტიპის, მაგ. ესე, სტატია და სხვა.
უცხოური ენები	ამასთან ერთად, უცხოური ენების კათედრას დანერგილი აქვს დიაგნოსტიკური წერების პრაქტიკა, რითაც მუდმივად ადევნებენ თვალყურს მოსწავლეთა ცოდნის დინამიკას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, განმსაზღვრელი შეფასების

	რუბრიკა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს, რომელშიც მკაფიოდ იკითხება მოსწავლის დონეები, რაც შესაძლებლობას ქმნის შეფასება მასზე დაფუძნებით განახორციელდეს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასების მიდგომებში ძირითადად გათვალისწინებულია ესგ-ში განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. ზოგად დოკუმენტებში, რეფლექსიებში სწორად არის ასახულია ეს მიდგომები, მოცემულია ე.წ. მოლოდინების რუბრიკები, ,,სოლო ტაქსონომიის“ დონეების შესაბამისი ინდიკატორები კონკრეტულ დავალებებთან მიმართებით, სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ (მე-5 კლასი მეორე სემესტრი-მე-12 კლასის ჩათვლით, საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების დროს) შეფასებებს. სკოლას სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებიც შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების რუბრიკებში სატანდარტის სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები მისადაგებულია საკითხებსა და შეფასების კრიტერიუმებთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ კურიკულუმში წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან , მიზნებთან და ამოცანებთან. წარმოდგენილია როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი რუბრიკები ორიენტირებულია თემის სამიზნე ცნებებზე და ემსახურება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება გააზრებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	მასწავლებლებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმში გაწერილი ყველა თემისთვის სამივე საფეხურზე, რომლის მიზანია მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. შეფასების რუბრიკაში გამოყოფილია კომენტარის სვეტი, სადაც დეტალურად აღიწერება მოსწავლის ძლიერი/სუსტი მხარეები და შემდგომი განვითარებისათვის საჭირო რეკომენდაციები. ასევე წარმოდგენილი იქნა დიაგნოსტიკური ტესტი სპორტში, სადაც პრაქტიკული უნარების შეფასების გარდა, ფასდება თეორიული ცოდნა დახურული და ღია კითხვებით ტესტში. ასევე გაწერილია კითხვები მოსწავლის თვითშფასებისთვისაც. დიაგნოსტიკური ტესტის ბოლოს მასწავლებელს განხორციელებული აქვს ანალიზი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგანში „კომპიუტერული ტექნოლოგიები“, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, რომელიც აერთიანებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს. ეს რუბრიკები შესაბამისობაშია სამიზნე ცნებებთან და ორიენტირებულია გრძელვადიანი სასწავლო შედეგების მიღწევაზე. ამასთანავე, წარმოდგენილია კონკრეტული დავალებების შეფასების მკაფიო კრიტერიუმებიც. წარდგენილი მასალები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ რუბრიკების შემუშავებისა და გამოყენების პრაქტიკული გამოცდილება. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების გამჭვირვალობას და ობიექტურობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ

	განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმები საგნებისა და კლასების მიხედვით;
- შემაჯამებლის ნიმუშები;
- კომპლექსური შინაარსის დავალების მატრიცების ნიმუშები;
- სკოლის ვებგვერდი;
- საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია,
- საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია);
- მატრიცები - მე და საზოგადოება, გეოგრაფია
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- პროექტები სამოქალაქო განათლებაში;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა ნაშრომების ამსახველი ფოტოები და პრეზენტაციები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო რესურსები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
- შემაჯამებელი დავალებების და დიაგნოსტიკური წერის ანალიზი (ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა);
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;
- სასკოლო პროექტები - განხორციელების გეგმები, ანგარიში და მოსწავლეთა ნამუშევრები;
- კვლევის კითხვარი;
- კათედრის მონიტორინგის ჩეკლისტი;
- მასწავლებელთა წლიური სამუშაო გეგმები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები.

- დიაგნოსტიკური ტესტირება სპორტში;
- სპორტის კათედრის ოქმი;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის სემესტრული ანგარიში;
- სსსმ საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების წესი;
- ბრძანება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ;
- მშობელთა კრების ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა - კონცეპტუალური ნაწილი;
- სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა;
- დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა;
- დამატებითი რესურსების ჩამონათვალი;
- დიაგნოსტიკური წერის მოსწავლეთა პროგრესის ანალიზის ფორმა;
- მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები;
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების მასალები (კოლეგის უკუკავშირი, გაკვეთილის რეფლექსია);
- ვერიფიკაციის დებულება;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგები სამივე საფეხურზე კურიკულუმების შესაბამისად ახდენენ სწავლებას. საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში შეაქვთ ცვლილებაც ნებისმიერ დროს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2025-2026 სასწავლო წლისთვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწალო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა დაჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ცხადია, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად, კათედრაზე განხილვისა და ანალიზის საფუძველზე იგეგმება ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ვლინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის

	გათვალისწინებით. სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. მასწავლებლები ურთიერთშეფასებისა და მოსწავლეთა ნაშრომებისა და დიაგნოსტირების საფუძველზე საჭიროებისამებრ მოდიფიცირებას უკეთებენ სასწავლო კურიკულუმს, რაც მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. წლის ბოლოს, კათედრის წევრები განიხილავენ შედეგებს და მიღებული დასკვნების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რასაც ამყარებს ინტერვიურების პროცესის დროს მიღებული ინფორმაცია, კათედრა სასწავლო პროცესს წარმათავს კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასწავლო გეგმის ორიეინტირია - მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზიტისდროს, მასწავლებლთან გასაბურების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. შემოქმედებითი დავალების ბარათები, მოსწავლეთა ნამუშევრები, კათედრის სხდომის ოქმები და მასწავლებელთა ანგარიშები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს მექანიკურად, არამედ წარმოაგდენს წინასწარ დაგეგმილ პროცესს და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო პროგრამას.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შესაბამისად ხდება მოდიფიცირება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სხვადასხვა თემასთან დავალების იდეად გათვალისწინებულია შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ცხადი გახდა, რომ აღნიშნული აქტივობები პრაქტიკულად განხორციელდა. გაიმართა შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები: დაწყებით საფეხურზე „მხიარული სტარტები“, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე „ფრენბურთი“, „მაგიდის ჩოგბურთი“, ასევე შიდა სასკოლო ფესტივალები ჩაატარეს „მინი ფეხბურთში“ და „კალათბურთში“. სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული კლუბი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, რომლის მიზანია მოსწავლეებისთვის თვითგამოხატვის და საკუთარი სპორტული უნარ-ჩვევების გამოვლენის შესაძლებლობების მიცემა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა განახორციელა პროექტი „ცხოვრების ჯანსაღი წესი“, რომლის მთავარი იდეა იყო სპორტის სხვადასხვა სახეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება და სპორტის მნიშვნელობის გააზრება ჯანსაღი ცხოვრებისთვის. სკოლის მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე და არაერთ წარმატებას მიაღწიეს: „მინი ფეხბურთში“ დაიკავეს პირველი ადგილი, ასევე საპრიზო პირველი ადგილი დაიკავეს „კალათბურთში“ როგორც გოგონების (3×3), ასევე ვაჟების (3×3 და 5×5) გუნდებმა. „ფრენბურთში“ გოგონებმა პირველი და ვაჟებმა მეორე საპრიზო ადგილი აიღეს. მოსწავლეებმა ასევე წარმატებით იასპარეზეს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალურ ჩემპიონატზე ბადმინტონში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლა-სწავლება ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს, რაც დასტურდება როგორც კურიკულუმის შემუშავების

	მეთოდოლოგიით და ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრა გეგმავს, გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა უზრუნველყოფს შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილ და დროულ რეაგირებას, რაც გამოიხატება სასწავლო პროცესის, რესურსებისა და მხარდამჭერი მექანიზმების ადაპტირებაში სხვადასხვა ინტერესისა და საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. დაწესებულება საჭიროების შესაბამისად ახდენს როგორც სასწავლო რესურსების მოდიფიცირებას, ისე სასწავლო გეგმის ადაპტაციას, რათა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებული სწავლება. სკოლა სისტემატურად აგროვებს და აანალიზებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოებისგან, რის საფუძველზეც ახორციელებს შესაბამის ცვლილებებსა და გაუმჯობესებებს. ამასთან, ეფექტიანად იყენებს არსებულ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, რათა შექმნას ინკლუზიური, უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებაც. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება კომპონენტების მიხედვით. იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარებათ შეფასების სანდოობაში, გამჭვირვალეობასა და ვალიდურობაში. ხშირად ახდენენ

	განმავითარებელი შეფასების მიცემას, რაც ეხმარებაღ მიღწევების ამაღლებაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: 2.2.1.3 დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შერჩეული შემაჯამებელი დავალებები მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლის ანალიტიკური აზროვნების განვითარებაზე.
უცხოური ენები	კათედრას გაწერილი აქვს შეფასების სისტემა სწავლების სამივე საფეხურზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ საგნობრივი კათედრები ურთიერთთანამშრომლობით ქმნიან კონკრეტული სასწავლო აქტივობის (შემაჯამებელი დავალება, სასწავლო პროექტი, კომპლექსური დავალება და სხვ.) შეფასების რუბრიკებს, რომელიც ეყრდნობა შეფასების მთავარ პრინციპებს. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებს გააცნოს ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეფასდებიან მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობაში ან დავალებებზე მუშაობისას, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას. მნიშვნელოვანია რომ, შეფასება მიემართება ესგ-ში განსაზღვრულ საფეხურეობრივ შედეგებს კონკრეტულ სამიზნეცნებებთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას, ვალიდურობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია საფეხურის განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუში საგნებისათვის-სახვითი და გამოყენებით ხელოვნებისთვის და მუსიკისთვის. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური და სანდო. რუბრიკები მორგებულია კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე და ასევე საშუალებას გვაძლევს მიმდინარე შეფასების პროცესში იყოს გამოყენებული. რუბრიკები სრულად მორგებულია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტს, როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითერებელ შეფასების სისტემისათის, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს,შეფასების რუბრიკები მარტივად აღქმადია,კირიტერიუმები ცნებათა მკვიდრწარმოდგენებს მიემართება და დავალების მიზანს შეესაბამება,ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იგივე კრიტერიუმით,მოსწავლეებმა წინასწარ იციან ,რის მიხედვით ფასდებიან. ასევე მშობლებისათვისაც ცნობილია კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.მოსწავლეებმა წინასწარ იციან სეფასეის რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სრულად შეესაბამება თემებს და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლის განვითარებას. შეფასების პროცესში ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის მიღწევების დეტალურ აღწერასა და

	კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებაზე. მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულები შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. აღნიშნული მიდგომა აძლიერებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგანში „კომპიუტერული ტექნოლოგიები“, სკოლის დოკუმენტებში ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის პრაქტიკა და გამოყენებული აქვთ მათი ნიმუშებიც. შეფასება დაგეგმილია ისე, რომ იყოს გასაგები, სამართლიანი და ობიექტური. ასევე, არსებობს მექანიზმი, რომელიც ამოწმებს რამდენად სწორად მუშაობს შეფასების სისტემა, რაც ზრდის მის სანდოობას. მკაფიო კრიტერიუმები ეხმარება როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს, უკეთ გაიგონ შეფასების პროცესი და შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლაში მოქმედებს მოსწავლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 31 ივლისის №02-100 ბრძანებით. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და შეთანხმებულ პროფესიულ სტანდარტებთან. იგი მიმართულია შეფასების ხარისხის, სანდოობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისკენ და წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის მართვის მნიშვნელოვან კომპონენტს. დაწესებულებამ ასევე

წარმოადგინა მიმდინარე სასწავლო წლის ვერიფიკაციის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია ის საგნები და კლასები, სადაც განხორციელდება შეფასების ვერიფიკაციის პროცესი. თუმცა, გეგმის ანალიზი აჩვენებს, რომ ვერიფიკაციის მიმართულებები არაერთგვაროვანია: ერთ შემთხვევაში დაგეგმილია შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, სხვა შემთხვევაში მტკიცებულებების გადამოწმება, ხოლო ცალკეულ მიმართულებებში -შეფასების პროცესის შეფასება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, ვერიფიკაციის დაგეგმვა დაეფუძნოს ერთიან და ინტეგრირებულ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც ერთი საგნისა და ერთი კლასის ჭრილში ერთობლივად განხორციელდება შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებებისა და პროცესის ვერიფიკაცია. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების ყველა კომპონენტის თანმიმდევრულ და ურთიერთკავშირში გაანალიზებას, ზრდის შედეგების სანდოობას და ქმნის უფრო სრულყოფილ საფუძველს შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული სასწავლო მასალების აღრიცხვა და შენახვა კანონის შესაბამისად. შენახული და დაცულია მოსწავლეთა შემაჯამებლები, შეფასების რუბრიკები და სხვ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი, დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N02-100 ბრძანებით 2024 წლის 31/07
- ინტერვიუები მასწავლებლეთან;
- მასწავლებელთა პორტფოლიოები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმები საგნებისა და კლასების მიხედვით;
- შემაჯამებლის ნიმუშები;
- კომპლექსური შინაარსის დავალების მატრიცების ნიმუშები;
- ფოტომასალა;
- სკოლის ვებგვერდი;

- მატრიცები - მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, გეოგრაფია;
- პროექტები სამოქალაქო განათლებაში - კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემნაჯამებელი და დიაგნოსტიკური სამუსაოების ანალიზის ფორმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები;
- დიაგნოსტიკური ტესტირება სპორტში;
- სპორტის კათედრის ოქმი;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის სემესტრული ანგარიში;
- სამივე საფეხურზე განხორციელებული სასკოლო სპორტული ფესტივალების გეგმა, რეფლექსია, სურათები;
- სკოლის სოციალურ ქსელში („მეოთხე სკოლის სპორტული კლუბი“) ატვირთული სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე მონაწილეობის დამადასტურებელი ფოტო მასალა;
- სასკოლო სპორტული კლუბი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“;
- სასწავლო პროექტი „ცხოვრების ჯანსაღი წესი“;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა - კონცეპტუალური ნაწილი;
- დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საფეხურის შეფასების
- რუბრიკები (განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმები;
- ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების მასალები;
- დიაგნოსტიკური წერების ამსახველი დოკუმენტაცია;
- კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგია.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმების მიხედვით ყველა თემას შეესაბამება ძირითადი და დამატებითი რესურსი. ესაა სახელმძღვანელო, ცდებისათვის საჭირო ნივთები და ელექტრონული რესურსები. ყველა რესურსს იყენებენ მიზნობრივად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: რუკები, ცხრილები და სხვა. რესურსებად გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრები. სარგებლობენ სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესში ინტერნეტ რესურსების გამოყენებისთვის აქვს შესაბამისი ტექნიკა და ინტერნეტზე შეუზღუდავი წვდომა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ მასწავლებლები ზრუნავენ და გეგმავენ სასწავლო რესურსის გამრავალფეროვნებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური

	სასურველია ყველა კურიკულუმებში ყველა შესასწავლ საკითხთან მიმართებით შერჩეული და მითითებული იყოს დამატებითი ციფრული და მატერიალური რესურსები.
უცხოური ენები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი და დამხმარე რესურსის ჩამონათვალი და ბმულები (ვიდეო/ფოტო/აუდიო მასალა). წარმოდგენილი დოკუმენტებისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა დამხარე ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები, რომელზეც წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, მკაფიოდ არის წარმოდგენილი მრავალფეროვანი რესურსები, რაც შესაბამისობაშია მოცემულ თემატურ ერთეულებთან,ესგ-ის საგნობრივი სტანდარტით შესაბამის თემებთან, რომლებიც განაპირობებს კურიკულუმით განსაზვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო,ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები,რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს,მიზანს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), თუმცა ასევე მითითებულია დამატებითი სახელმძღვანელოები , ასევე ელექტრონული და ვიდეო თუ აუდიო ინტერნეტრესურსებიც, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. თითოეულ თემასთან ინტეგრირებულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები ლინკების სახით: სახელმძღვანელოები, სპორტის სხვადასხვა სახეობის გზამკვლევები მასწავლებლებისთვის, პრეზენტაციები და ვარჯიშის ვიდეოინსტრუქციები. შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან და ხელს უწყობს სასწავლო აქტივობების განხორციელებასა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგანში „კომპიუტერული ტექნოლოგიები“, კურიკულუმი მოიცავს სხვადასხვა ელექტრონული სასწავლო რესურსის ბმულებს, რაც მიუთითებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებისამებრ დამოუკიდებლადაც მოძიებენ და იყენებენ ონლაინ რესურსებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უფრო საინტერესო, ეფექტურ და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები(მათ შორის learning.apps.org , ტელე სკოლას,youTube-ს ვიდეომასალას) რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ცოდნის მიღება/გაღრმავებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმებით განსაზღვრულ სკოლაში არსებულ ყველა რესურსს იყენებენ მიზნობრივად, აქვთ ინტერნეტი და აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებსა და სიმულაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი ოქმების თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა- შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. რჩევა: 2.2.2.2 დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის რელევანტური. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი. კურიკულუმებს დართული აქვს პედაგოგების/მოსწავლეების მიერ შექმნილი შემოქმედებითი ტიპის პროდუქტები/ რესურსები. დამატებითი რესურსის შერჩევისას პრიორიტეტი ენიჭება ოფიციალურ ვებ- გვერდებს და ელექტრონულ საგანმანათლებლო პლატფორმებს. კათედრის მიერ გამოყენებულ დამხმარე სასწავლო რესურსს გავლილი აქვს შესაბამისი ვალიდაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი რესურსების ვალიდაცია ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება სკოლის მიერ შემუშავებულ ვალიდაციის წესს.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან,სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ კათედრა შეიმუშავებს სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსებს და ახდენს დამხმარე რესურსების ვალიდაცია /დადასტურებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლა სისტემატურად უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. სასწავლო წლის დასაწყისში რესურსები განიხილება მასწავლებლების მიერ და შეირჩევა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. შერჩეული რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა სწავლის უნარების განვითარებასა და სასწავლო მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე. ვალიდაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რესურსის შესაბამისობას მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან, რაც უზრუნველყოფს გამოყენებული მასალების რელევანტურობას.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგანში „კომპიუტერული ტექნოლოგიები“, კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი (school.emis.ge) არის ვალიდური, შეესაბამება როგორც სასწავლო მიზნებს, ისე საგნობრივ სტანდარტებს. აღნიშნული რესურსი

	რეკომენდებულია საგნობრივი ექსპერტების მიერ და ეფექტურად უწყობს ხელს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც. გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული, შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	აქვთ ლაბორატორია, სადაც განთავსებულია ბიოლოგიისნ თვალსაჩინოებები, ფიზიკისა და ქიმიის ხელსაწყოები და ქიმიური რეაქტივები. იყენებენ აქტიურად ინტერნეტ რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი რესურსების ჩამონათვალის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა

	ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, წიგნადი ფონდი და სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან).**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის, სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს ინტერნეტი, კომპიუტერები, პროექტორები რომლით სარგებლობა განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის პერსონალისთვის.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიურების პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა. კათედრა აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, (დინამიკები, პროექტორი, ლეპტოპი, რეპროდუქციები და ა.შ..) ,რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში,ხოლო პედაგოგს აძლევს საშუალებას საინტერესოდ და მრავლაფეროვნად წარმოაჩინონ შესასწავლი თემა/საკითხი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლა სამივე საფეხურზე ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ გადასინჯვას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში,რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები

	ხარისხიანია. ასევე მასწავლებლები თვითონ ქმნიან და იყენებენ რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია კურიკულუმებში მასწავლებლებმა შეიტანონ თავიანთი შექმნილი რესურსებიც.
მათემატიკა	კურიკულუმით გათვლისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი, დარბაზში დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები და ფრენბურთის ბადე, ტანვარჯიშული სკამები. იატაკი არ არის დახაზული. გამოყოფილია ადგილი, სადაც განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთი. სკოლის ეზოში ასევე არის სპორტული მოედნისთვის განკუთვნილი ტერიტორია, სადაც დამონტაჟებულია ფეხბურთის კარები და კალთბურთის ფარები. მოედანი არ არის გამიჯნული ეზოს საერთო სივრცისგან, არ აქვს ბალახის საფარი, საჭიროებს შესაბამის მოწესრიგებას. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ სკოლასთან ახლოს მდებარეობს სპორტის განვითარების ცენტრი, რომლის სპორტული დარბაზით ხშირად სარგებლობენ. სკოლას აქვს ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი კურიკულუმით გათვალისწინებული ფიზიკური აქტივობების განსახორციელებლად: მაგიდის ჩოგბურთი, სისწრაფის და მოქნილობის სავარჯიშო კიბე, კონუსები (ფიშკები) მოედნის მოსანიშნად, ბაგირი, ბადმინტონი, ბარიერები და ბურთები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია განხორციელდეს სპორტული დარბაზისა და გარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას.
ტექნოლოგიები	სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია და უზრუნველყოფილია საჭირო ტექნიკით. კომპიუტერების რაოდენობა შესაბამისობაშია თითოეულ კლასში მოსწავლეთა

	რაოდენობასთან, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელებას.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლს შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლა უზრუნველყოფილია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი და კურიკულუმის ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსით. პედაგოგიური პერსონალი აკმაყოფილებს მოქმედ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფლობს შესაბამის პროფესიულ კომპეტენციებს და ჩართულია სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვაში. დაწესებულება ზრუნავს კადრების შერჩევის, შენარჩუნებისა და პროფესიული განვითარების პროცესების ეფექტიან მართვაზე. პედაგოგები სისტემატურად მონაწილეობენ პროფესიული განვითარების აქტივობებში, რაც ხელს უწყობს თანამედროვე სასწავლო მიდგომების დანერგვასა და კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისი სწავლების უზრუნველყოფას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი, დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N02-100 ბრძანებით 2024 წლის 31/07
- ინტერვიუები მასწავლებლეთან;
- მასწავლებელთა პორტფოლიოები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმები საგნებისა და კლასების მიხედვით;
- შემაჯამებლის ნიმუშები;
- კომპლექსური შინაარსის დავალების მატრიცების ნიმუშები;

- ფოტომასალა;
- სკოლის ვებგვერდი;
- მატრიცები - მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, გეოგრაფია;
- პროექტები სამოქალაქო განათლებაში - კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემნაჯამებელი და დიაგნოსტიკური სამუსაოების ანალიზის ფორმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები;
- დიაგნოსტიკური ტესტირება სპორტში;
- სპორტის კათედრის ოქმი;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის სემესტრული ანგარიში;
- სამივე საფეხურზე განხორციელებული სასკოლო სპორტული ფესტივალების გეგმა, რეფლექსია, სურათები;
- სკოლის სოციალურ ქსელში („მეოთხე სკოლის სპორტული კლუბი“) ატვირთული სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე მონაწილეობის დამადასტურებელი ფოტო მასალა;
- სასკოლო სპორტული კლუბი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“;
- სასწავლო პროექტი „ცხოვრების ჯანსაღი წესი“;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა - კონცეპტუალური ნაწილი;
- დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საფეხურის შეფასების
- რუბრიკები (განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმები;
- ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების მასალები;
- დიაგნოსტიკური წერების ამსახველი დოკუმენტაცია;
- კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგია.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, დოკუმენტში აღწერილია კურიკულუმის მონიტორინგის წარმართვის პროცესები. სკოლა ახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგს მეთოდოლოგიაში აღწერილი პროცესების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლას ჰყავს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგს. ამისათვის გამოიყენებს სხვადასხვა მეთოდს, როგორებიცაა ურთიერთდასწრება, უკუკავშირი, რეფლექსია,ზეპირი რეკომენდაციები, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა. მონიტორინგი ხორციელდება 2025-26 სასწავლო წელს, მიღებული შედეგები აისახება მომავალი წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

ოზურგეთის N4 საჯარო სკოლა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას განიხილავს, როგორც მხარდაჭერასა და განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. აქედან გამომდინარე, პედაგოგიური საბჭოს და დირექციის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული ამ პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმები საგნებისა და კლასების მიხედვით;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებლის ნიმუშები;
- კომპლექსური შინაარსის დავალების მატრიცების ნიმუშები;
- სკოლის ვებგვერდი;
- ინტერვიუები მასწავლებლებთან;
- ინტერვიუები დირექციასთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში 2025-26 სასწავლო წელს მოქმედებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგის ჩასატარებლად იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს.

სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა აკეთებს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ შეფასებებს. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორებიცაა: საგნობრივი პროგრამები, მოსწავლეთა ნამუშევრები, მშობელთა გამოკითხვა და სხვ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.**შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური, საკლასო და სასკოლო კონტექსტები და სხვ. საბოლოოდ, შეფასება ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა: კრიტიკული მეგობრის, დაკვირვების, რეფლექსიები, გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერვიუ, სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკა და სხვ. ამ მეთოდების გამოყენება განაპირობებს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე მოსწავლეთა უნარებისა და შესაძლებლობების გამოკვეთასა და სამომავლო გზების უკეთ დასახვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორებიცაა: ოჯახური, სოციალური, პიროვნული, ღირებულებითი , ეთნიკური და სხვ. ეს უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, სამართლიანობასა და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მასწავლებელთა ინტერვიუები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლეებთან ინტერვიუები;
- მასწავლებელთა პორტფოლიოები.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ოზურგეთის N4 საჯარო სკოლაში ამ სასწავლო წელს(2025-26) მიმდინარე მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებულ საკითხებს გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის ახლებურად დაგეგმვისათვის, რათა უკეთესად წარმართონ სასწვლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის 2026-27 სასწავლო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება. 2025-26 სასწავლო წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს. პედკოლექტივი და სკოლის დირექცია აქტიურად წარმართავენ მუშაობას ამ მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- ინტერვიუები მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი.

22.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: